

### ნავთობის მუშაების დაცვა

A7




### "ახალი ერა საერთაშორისო პრტიკატობაში"

A8



ქანა ბანდურაშვილი: "რაც არ უნდა ქრიზისული სიტუაცია იყოს, ყოველთვის არსებობს არჩევანი..."

B1



**24 საათი**  
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე **www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:



ჩვენ ვაძლევთ უმთავრესს



## "ცუდი იდეა"

არალიარების ევროპული პოლიტიკა

დმიტრი ავალიანი

ევროკავშირის მიერ ბელარუსის მიმართ წაყენებულ პირობას უკმაყოფილება მოსკოვში, მინსკში და სოხუმშიც მოჰყვა. ბელარუსი ევროკავშირის აღმოსავლური პარტნიორობის პოლიტიკაში ვერ ჩაერთვება, თუ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს, როგორც ამას რუსეთი სთხოვს. სეპარატისტებისა და მათი მფარველების უკმაყოფილების საპასუხოდ კი ევროკავშირი თავის პოზიციას უფრო მკაფიოდ განმარტავს - ევროპის პოლიტიკა სწორედ რუსული აგრესიის შედეგების არალიარებას ითვალისწინებს და ევროპასთან ინტეგრაციის მოსურნე ყველა ქვეყანამ ეს პრინციპი უნდა გაიზიაროს.

ბელარუსის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ამ ქვეყნის მონაწილეობას აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამაში. ამის შესახებ ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ შვარცენბერგმა განაცხადა.

ბაზრძობა A3 გვერდზე



შავიერ სოლანას პრემიერის კრისტინა გალაკი: "ჩვენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ვუჭერთ მხარს."

## ბედნიერებაზე ლაპარაკი ნუ შეგვრცხვება!

ინტერვიუ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან გიგი თევზაძესთან

ნოდარ ლადარიანი

- ცოტა არ იყოს, ბანალური შეკითხვით მინდა დავიწყო... ახლა უკვე გავიდა განათლების რეფორმის ავ-კარგინობაზე საუბრის დრო. შეიძლება ითქვას, რომ რეფორმა შეუქცევადი გახდა. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ რეფორმა დასრულდა?

- არა, მხოლოდ დაიწყო. არის წარმატებებიც, არის წარუმატებლობაც, მაგრამ რეალურად პირველი ეტაპი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დასრულებულად, როცა მივიღებთ პირველ შედეგს.

- ანუ?

- საერთაშორისო შედეგს ვგულისხმობ, თუ მაგალითად მივიღებთ სკოლის მოსწავლეების კარგ საერთაშორისო შეფასებას, ან თუ რომელიმე ქართველი მეცნიერი მოხვდება ნობელის პრემიის პანელში, ან ჩვენი რომელიმე უნივერსიტეტი შევა შანხაის სიის ასეულში. არის შიდა ინდიკატორებიც.

ბაზრძობა A4 გვერდზე



### ეროვნული ბანკის საბჭოს მეხუთე წევრად გიორგი ქადაგიძე დაინიშნა

ამის შესახებ პარლამენტის დადგენილება გუშინდელ პლენარულ სხდომაზე კენჭისყრის დასრულებისთანავე შევიდა ძალაში. პარლამენტმა გიორგი ქადაგიძე ერთსულოვნად - 86 ხმით არც ერთის წინააღმდეგ - ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობაზე დაამტკიცა.

გიორგი ქადაგიძე 2008 წლის აპრილიდან დღემდე, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობას იკავებდა. ის მუშაობდა კომერციული ბანკების სტრუქტურებში და კარგად იცნობს საფინანსო სისტემას, - განაცხადა მთავრობის საპარლამენტო მდივნის მოადგილემ ზურაბ დეკანოიძემ.

ცნობისათვის - ამჟამად ეროვნული ბანკის საბჭო მხოლოდ 4 წევრისგან შედგება. საბჭოს თავმჯდომარეა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი დავით ამალბოძე; წევრები - სიმონ გელაშვილი, მიხეილ თოქმაშვილი და თემურ შენგელია.

თითქმის წელიწადნახევარია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტურია. ამ ფაქტს "ქრისტიან-დემოკრატები" აპროტესტებენ. მათი ლიდერი გიორგი თარგამაძე ხელისუფლებისგან მოითხოვს პასუხს, თუ რატომ არ მოხდა ამდენი ხნის მანძილზე ამ თანამდებობაზე კანდიდატურის წარდგენა. მისი კითხვა - თუ როდის გაირკვევა სავარაუდო პრეზიდენტის დანიშვნის საკითხი, გუშინ უპასუხოდ დარჩა. **24 საათი**

### დღეს სახელმწიფო კანცელარიაში მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართება

დღეს სახელმწიფო კანცელარიაში მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართება. სხდომის დღის წესრიგი უცნობია, თუმცა წინასწარ ცნობილია, რომ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიციანი ახალი სადაზღვევო პაკეტის შესახებ დეტალურად განერილ გეგმას წარადგენს. ამ გეგმაში დაკონკრეტებული იქნება სამედიცინო მომსახურების ის მიმართულებები, რომელსაც პროგრამა მოიცავს. **პირველი**

### ბაბუშერას აეროპორტი საჰაერო მიმოსვლის აღსადგენად მზად არის

სოხუმის ბაბუშერას აეროპორტი ქმედობაუნარიანია და საჰაერო მიმოსვლის აღსადგენად მზად არის. ეს განცხადება სეპარატისტული აფხაზეთის უნიტარული დანესებულების "საერთაშორისო აეროპორტი სუხუმის" დირექტორის მოადგილემ ვიქტორ ხილჩევსკიმ გააკეთა. "ჩვენ შევძელით აეროდრომის შენარჩუნება ისე, რომ ექსპლუატაციისთვის დღეს ის პრაქტიკულად მზად არის. ზაფხულში ჩვენთან რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროს დელეგაცია იმყოფებოდა. მათ დაათვალიერეს ყველაფერი და აღნუსხეს, თუ რა გეგმად და რა არა," - აცხადებს ვიქტორ ხილჩევსკი. მისივე თქმით, თავად აეროდრომის მისამართით მათ შენიშვნები არ ჰქონიათ, უბრალოდ, განსახლებულია აერონავიგაციის მოწყობილობები, ტექნიკა, რადგან ომამდე აქ არსებული ტექნიკის 172 ერთეულიდან მხოლოდ ათია გარეგანი და მათაც რესურსი უკვე ამოწურეს. ვიქტორ ხილჩევსკის ინფორმაციით, აეროპორტს დღეისათვის ნებისმიერი ტიპის საჰაერო ხომალდის მიღება შეუძლია, რომელსაც 125 ტონამდე ზონა აქვს. აეროდრომი მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "სოხუმში ინგუშეთის დელეგაციის ვიზიტი პოლიტიკური ტრაგედიაა"

"სამართლებრივი თვალსაზრისით, ჩრდილოკავკასიური რეგიონების დელეგაციების სოხუმში სტუმრობა კარგია, რადგან ვიზიტი რეგიონებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ემსახურება, მაგრამ საქართველო-რუსეთს შორის არსებული გამწვავებული ურთიერთობის ფონზე, სეპარატისტულ აფხაზეთში რუსეთის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ოფიციალური პირების ჩასვლა პოლიტიკური ტრაგედიაა და მეტი არაფერი," - აცხადებს კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი. მისივე განმარტებით, ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების წარმომადგენლებსა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას რეგიონული თანამშრომლობის კუთხით აქტიური ურთიერთობა 90-იანი წლებიდან მოყოლებული აქვთ. "თავად სერგეი ბაგაფშიც ხშირად სტუმრობს როგორც ინგუშეთს, ისე სხვა ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებს," - აღნიშნა კონფლიქტოლოგმა.

ინგუშეთის დელეგაცია გუშინ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშიცმა და სეპარატისტული პარლამენტის თავმჯდომარემ ნუგზარ აშუბამ მიიღეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### კონსტანტინე გამსახურდიას მოძრაობა ეროვნული ყრილობისთვის ემზადება

პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება" ეროვნული ყრილობის გამართვას გეგმავს.

ამის შესახებ პარტიის ლიდერმა კონსტანტინე გამსახურდიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი განმარტებით, ყრილობის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. ყრილობის ჩატარების ზუსტი თარიღი ამ დროისთვის შერჩეული არ არის, თუმცა ცნობილია, რომ ის მარტში გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ოკუპაციის 88-ე წელი

## პერიოდ თვეზადი

2009 წლის 25 თებერვალს არც ერთ ქართულ ტელე და რადიოარხს რუსულ სიმღერები და კინოფილმები არ გადაუცია. გარდა ამისა გუშინდელი დღე დახუნძლული იყო ღონისძიებებით, რომლებიც 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას მიეძღვნა.

## პრეზიდენტი ოკუპაციის მუზეუმში

წითელი არმიის მიერ 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტი ოკუპაციის მუზეუმს ეწვია და საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს შეხვდა.

"საქართველო მზად არის კრემლს ტანკებით ებრძოდეს, თუ ამის საჭიროება იქნება, მაგრამ ასევე მზად არის მშვიდობიანად მოელაპარაკოს," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, მას სურს რუსეთთან პოლიტიკური პრობლემების მშვიდობიანად მოგვარება, თუ რუსეთი საერთაშორისო ნორმებით იხელმძღვანელებს.

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, დღეს საქართველოს თავისუფლება ისეთივე საფრთხის წინაშე დგას, როგორც 1921 წელს იყო. საქართველოს ისტორიის მიმოხილვისას მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისმა წინამორბედმა სამივე პრეზიდენტმა - ელუარდ შევარდნაძემ, ზვიად გამსახურდიამ და ნოე ფორდანიამ რუსული აგრესია გადაიტანეს, მაგრამ დღეს განსხვავება ის არის, რომ საქართველომ შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა.

საკაშვილის განცხადებით, გასული წლის აგვისტოს იგი უმძიმესი არჩევანის წინაშე დადგა და მან მიიღო გადაწყვეტილება სისხლის პოლიტიკის ნაცვალზე ბრძოლის თაობაზე, თუმცა ამ გადაწყვეტილების სისწორის გასაზღვრა მიხეილ სააკაშვილმა ისტორიას მიანდო.

"მე არც მთავრობა ჩავაბარე მტერს, არც ბაზების განთავსებაზე მოვანერე ხელი, არც ქართული არმიის გაუქმებაზე გავეცი განკარგულება და არც თბილისი დატოვება, მიუხედავად იმისა, რომ ამის პირდაპირი შემოთავაზება და ზენოლაც

იყო," - განაცხადა სააკაშვილმა.

შექმნილ ვითარებაში პრეზიდენტმა თავის უმთავრეს მოვალეობად მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვა დაასახელა და ამისთვის მან საზოგადოებას კონსოლიდაციისაკენ მოუწოდა.

მეტიც, საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ საქართველოში რუსი ბიზნესმენები მოიხვია.

"ჩვენ ვინცერთ რუს ბიზნესმენებს იმისათვის, რომ დარწმუნდნენ - მათ საქართველოში ქრთამს არავინ მოსთხოვს და არავინ შეივინროებს," - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, საქართველოს კარი ყოველთვის ღია იყო და იქნება რუსული ინვესტიციებისთვის. სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს არ სურს, რუსეთთან განწყვეტილი იყოს დიპლომატიური ურთიერთობა და საქრანსპორტო მიმოსვლის აღდგენის მომხრეა, მაგრამ, მისივე თქმით, საქართველო ვერასოდეს შეეგუება თავის ტერიტორიაზე რუსეთის სამ საელჩოს - თბილისში, ცხინვალსა და სოხუმში.

## "ინტერნეტ-ფორუმი-რეაქციის" ინიციატივა

არასამთავრობო ორგანიზაცია "ინტერნეტ-ფორუმი-რეაქცია" ზოგადად რუსული კულტურის წინააღმდეგ არ გამოდის. თუმცა, მათ ერთი დღით ადრე ქვეყნის მედიასაშუალებებს შესთავაზეს წინადადება, რომ 25 თებერვალს რადიო-ტელევიზიებს რუსულ სიმღერებსა და კინოფილმებზე უარი განეცხადებინათ. აქციის ორგანიზატორებმა ამით გამოხატეს პროტესტი ოკუპანტი ქვეყნისადმი და სოლიდარობა რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებული ადამიანების მიმართ.

## საყოველთაო პროტესტი

დღის 11:00 სთ-ზე დედაქალაქის მცხოვრებლებმა რუსული ოკუპაციის მიმართ პროტესტი რუსთაველი გამზირზე გამოხატეს - ავტომანქანების საყვირების გაბმული ხმითა და ანთებული ფარებით.

ავტოსაყვირების ხმა საჩხერეშიც გაისმა. ეს ის რაიონია, რომლისთვისაც რუსული ოკუპაცია მხოლოდ ისტორიულ მესხიერებაში არ დარჩენილა - სოფელი პერედი კვლავ ოკუპირებულია.

იგივე ითქმის ქალაქ გორზეც.

გარდა საყვირებით გამოხატული პროტესტისა, აქ სხვა ღონისძიებაც გაიმართა. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, ახალგაზრდებმა და სკოლის მოსწავლეებმა ფერადი ცარცებით ომის თემაზე სხვადასხვა ფიგურები დახატეს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბოლშევიკების სახელობის ქუჩებისთვის სახელების გადარქმევის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. გორში ორ ადგილას მემორიალური დაფა დაიდგმება.

ხალხმრავალი აქცია მოეწყო ქუთაისში, დავით აღმაშენებლის ძეგლთან. მუხნარის ტყე-პარკში, სადაც რუსმა ბოლშევიკებმა 1921 წელს 25 ადამიანი დახვრიტეს, რეპრესირებულია მემორიალი გვირგვინით შემკვეს და დალუპულთათვის პარაკლისი გადაიხადეს.

აქცია გაიმართა თელავშიც.

გუშინ მთელი ქვეყნის მასშტაბით უამრავი ღონისძიება ჩატარდა.

ოკუპაციის დღეს "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც" გამოეხმაურა. პარტიის მთავარი კომიტეტის წევრებმა პატივი მიაგეს მთაწმინდაზე დაკრძალული ეროვნული გმირების - ექვთიმე თაყაიშვილის, ქაიხოსრო ქაქუცაძე ჩოლოყაშვილის და სხვათა ხსოვნას.

გუშინვე მთაწმინდაზე, მამა დავითის ეკლესიაში სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით, მუხათგვერდის ძმთა სასაფლაოზე ახალი სკვერის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. რუსული აგრესიის შედეგად დალუპული ჯარისკაცების ხსოვნის პატივსაცემად აქ 80-მდე სხვადასხვა ჯიშის - იფის, ნეკერჩხლის, საპნის ხის, ნუშის, თრმლისა და ფიჭვის ნერგები დაირგო. თავდაცვის ეროვნული აკადემიის ინიციატივით, ტაბახმელაში, იუნკერთა მემორიალთან, დალუპული ჯარისკაცების ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

## თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება

ქუჩებისთვის სახელების შეცვლა დაგეგმილია როგორც დედაქალაქში, ასევე გორში, ხაშურში, ქარელსა და კასპში.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილის განცხადებით, ძირითადად გლდანი-ნაძალადვეცისა და ისანი-სამგორის რაიონში მდებარე ქუჩებს, რომლებსაც

რუსული ან ბოლშევიკების სახელები აქვთ მინიჭებული, ათი დალუპული ქართველი სამხედროს: შალვა დოლიძის, ილია ბაბუციძის, ლერი ლაგურაშვილის, გიორგი ნადარეიშვილის, რევაზ მამისაშვილის, ერეკლე ყულოშვილის, ალექსანდრე თანდარაშვილის, ილია რომელაშვილის, მარატ ნოზაძისა და გიორგი სხვიტარძის სახელები მიენიჭება.

"საწყის ეტაპზე იმ გმირთა სახელები შევარჩიეთ, რომლებსაც დალუპვის შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი, მეორე და მესამე ხალხის ორდენები მიენიჭათ," - განაცხადა სამადაშვილმა, რომლის განმარტებითაც, - არ არის გამოიცხადებული, მომავალში ავგისტოს ომში დალუპულთა სახელები დედაქალაქის სკვერებსაც დაერქვას."

## კვირეული

გუშინდელ დღეს ქვეყნის ყველა საჯარო სკოლა გამოეხმაურა. ყველა სასწავლო დაწესებულებაში გაიმართა მდუმარე აქცია. მოსწავლეებმა და პედაგოგებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დალუპულთა ხსოვნას და "ცოცხალი ჯაჭვი" გააკეთეს. ოკუპაციის დღეს სკოლები სპეციალურ კვირეულს მიუძღვნინან. მოწყობა მოსწავლეთა ნახატების გამოფენები, მასობრივი მსვლელობები, მხატვრული შემოქმედების საღამოები, ასფალტზე ხატვა, მინი-სპექტაკლები.

თბილისის პირველ საჯარო სკოლაში გუშინ ორდღიანი ლიტერატურული აქცია დაიწყო. მასში 50 მოსწავლე მონაწილეობს, მათ შორის რეგიონებიდან ჩამოსვლებიც. მოსწავლეები ორიგინალურ ნაწარმოებებს შექმნიან. პროექტის დასრულების შემდეგ გამოიცემა ალმანახი, რომელიც თავს მოუყრის მოსწავლეთა შემოქმედებას.

კვირეულის ფარგლებში ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში რუსთაველის ფონდმა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის თემაზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო ლექციები ჩაატარა. ლექციები წაიკითხეს რუსთაველის ფონდის მიერ გატყეული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის ავტორებმა. ღონისძიებას თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეები ესწრებოდნენ.

# ბაყიდული "იმიდი"

"ტელეკომპანიის განსავითარებლად ახალი ინვესტიციების ჩადება

იგეგმება"

გუშინ ტელეკომპანია "იმედის" გაყიდვის შესახებ ოფიციალურად გახდა ცნობილი. ამ საკითხზე მოლაპარაკებები რამდენიმე დღის წინათ დასრულდა. ტელეკომპანია "იმედის" 90-პროცენტის წილის მფლობელი ქართულ-არაბული საინვესტიციო კომპანია "რაკ-ჯორჯია ჰოლდინგი" გახდა, ხოლო "იმედის" აქციათა 10 პროცენტი კვლავ ჯორჯია კეიმ დაიტოვა. უცნობია, რა ფასად გაიყიდა ტელეკომპანია და ასევე გაურკვეველია არაბული კომპანიის მიერ ტელეკომპანიის განვითარებისთვის გამოყოფილი ინვესტიციის რაოდენობა. ჯორჯია კეიმ თავისი გადაწყვეტილების მიზეზების შესახებ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. მან ტელეკომპანია "იმედის" გაყიდვის მთავარ მიზეზად მსოფლიო ფინანსური კრიზისი დაასახელა.

## დათო ბაჩისონია

ჯორჯია კეის თქმით, ტელეკომპანიის საქმიანობის გასაგრძელებლად საჭირო იყო მყარი ფინანსური გარანტიები, სწორედ ამიტომ მან "იმედი" არაბულ კომპანიას მიყიდა. "დიდი ხანია ჩემს მეგობრებთან და ნაცნობებთან მოლაპარაკებებს ვანარმოებთ. მინდა, გაგახაროთ - ვიპოვეთ პარტნიორი, რომელიც ინვესტიციებით შემოვა და ტელეარხს დააფინანსებს, რაც მას მისცემს საშუალებას, ისევე ისეთი ლიდერი გახდეს, როგორც იყო. მე იმედი მაქვს და პირობაც ბატონი მარკისგან, რომ ტელეარხი "იმედი" მიიღებს ყველა იმ ფინანსურ დახმარებას, რაც მას სჭირდება, რათა წამყვანი როლი დაიბრუნოს," - განაცხადა ჯორჯია კეიმ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

ახალმა ინვესტორმა ტელეკომპანიისთვის ფინანსური გა-

რანტიების შექმნის პირობა დადო. მან დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის უზრუნველყოფაზეც ისაუბრა. ქართულ-არაბული კომპანიის წარმომადგენლის თქმით, "რაკ-ჯორჯია ჰოლდინგი" საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. მას მმართველობაში 49 წლით აქვს ალბულის ფოთის პორტი, ხოლო 2008 წლის ივლისში იჯარით გადაეცა მთაწმინდის პარკი, ქართულ-არაბულმა კომპანიამ "სტანდარტ ბანკის" აქციათა დიდი ნაწილიც შეისყიდა. "ჩვენი ჯგუფი აგრძელებს ინვესტირებას. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია მედიამზარეულის და დარწმუნებულნი ვართ, რომ ინვესტირების შემთხვევაში "იმედი" უფრო გაძლიერდება," - განმარტა "რაკ-ჯორჯია ჰოლდინგის" წარმომადგენელმა.

ტელეკომპანია "იმედის" მენეჯმენტში გარკვეული ცვლილებები იგეგმება. ერთიანი ჰოლდინგის სახით იარსებებს "ტელე-რადიო

იმედი" და "ტექნომედია".

რაც შეეხება "იმედის" დამფუძნებელ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და ჯოზეფ კეის შორის მიმდინარე სასამართლო პროცესს. "რაკ-ჯორჯიასთან" კონტრაქტის გაფორმებაში უშუალოდ მონაწილე იურისტ დავით ასათიანის თქმით, პატარკაციშვილის მემკვიდრეობის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო პროცესების გამო ჯოზეფ კეის არანაირი შეზღუდვა არ ჰქონია. "დღეისთვის არც ერთი ქვეყნის სასამართლოში "იმედის" საქმეზე პროცესი არ მიმდინარეობს, ამიტომ სასამართლო გზით ტელეკომპანიის შესახებ პრეტენზიები ჩვენთვის არ არის ცნობილი. ხოლო, პატარკაციშვილის სამკვიდროსა და ანდერძის კანონიერების საკითხების შესახებ სასამართლო პროცესები სამ ქვეყანაში იმართება და ალბათ უახლოეს მომავალში ვერ დასრულდება," - განმარტა ასათიანმა.

**ბაზით "24 საათის" გამოცემაელი შპს "მეზა". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუშაშვილი, პაატა მუხამიძე.**

**რედაქცია:** სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღონისაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშონია (რეგია), ანა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რედაქცია და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეუვა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალვაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყავლაშვილი **რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**



# ბედნიერება ლაპარაკი ნუ შეგვრცხვება!

პირველი გვერდიდან

მაგალითად, ბედნიერად გრძნობენ თუ არა თავს ბავშვები, როცა სკოლაში დადიან, კმაყოფილი არიან თუ არა ანაზღაურებით მასწავლებლები, მეცნიერები კომფორტულად გრძნობენ თუ არა თავს, თუ არსებობის ალტერნატიულ წყაროს ეძებენ ყველგან - მათ შორის პოლიტიკაშიც. ამ მხრივაც საკმაოდ გრძელი გზა უნდა გავიაროთ.

### მინიერი სამოთხის სურათი დახატე...

- სულაც არა. მაგალითად ავიღოთ დანია, რომლის მოსახლეობა ექვსი მილიონია და საქართველოს შეიძლება შევადაროთ. პროცენტულად ამ ქვეყანას უფრო მეტი ნობელის ლაურეატი ჰყავს, ვიდრე აშშ-ს. სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგით ამ ქვეყანის მოსახლეობა ბედნიერების შეგრძნებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. რაც ჩვენ შეიძლება ძალიან უცნაურად მოგგვეჩვენოს - სკოლაშიც ბავშვების უმეტესობა თავს ბედნიერად გრძნობს. ერთი სიტყვით, პრინციპულად მიუღწეველი არაფერია.

იგივე იქმნის ფინეთშიც: ფინეთში ძალიან დიდი ისეთი მეცნიერების რაოდენობა, რომელთა ნაშრომებს ხშირად აცტირებენ. დღეს სამეცნიერო სამყაროში სულ უფრო და უფრო ძლიერდება მეცნიერის შეფასების ტენდენცია არა გრანტების და გამოქვეყნებულ შრომების, არამედ, ამ შრომების ციტირების მიხედვით. საქართველოში ჯერ-ჯერობით, სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების გამო მაინც გრანტების რაოდენობას და პუბლიკაციებს ენიჭება, და არა ამ პუბლიკაციების რეალური ღირებულებას - ციტირებას. თუმცა, ალბათ ამ წინააღმდეგობასაც გადავლახავთ.

### კარგია ეს ყველაფერი, მაგრამ უფრო ფართო კონტექსტში განვიხილოთ: რას მისცემს შენ მიერ ნახსენები სტანდარტების მიღწევა ჩვენი ცხოვრების დანარჩენ მხარეებს?

- მეცნიერება მუშაობს ეკონომიკისათვის. იმისათვის, რომ თანამედროვე ეკონომიკა, რომელსაც ცოდნის ეკონომიკა უწოდებენ, გაქონდეს, ბევრი განათლებული ადამიანი უნდა გყავდეს. განათლებულობა კი დღევანდელ მსოფლიოში წარმოუდგენელია უნივერსიტეტების გარეშე. უნივერსიტეტებში კი კარგ განათლებას ვერ მიიღებ, თუკი იქ არ არის ის ხალხი, ვინც ახალ ცოდნას ქმნის. ანუ, უნივერსიტეტში მეცნიერები უნდა იყვნენ. უნივერსიტეტებში მეცნიერთა ყოფნას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი აქვს - ისინი მუშაობენ გამოყენებითი თუ ფუნდამენტალური მიმართულებებით, და ძალიან ხშირია ისეთი შედეგები, რომლებიც ადამიანის ბედნიერების მიღწევას ემსახურებიან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ფუნდამენტური, და თუნდაც გამოყენებითი კვლევა მომგებიანი ბიზნესია - მეცნიერების მომგებიანობა არაპირდაპირია - უნივერსიტეტების საშუალებით ის აწარმოებს ცოდნის ეკონომიკისათვის აუცილებელ განათლებულ ადამიანებს - რომლებიც თავის მხრივ ქმნიან ცოდნის ეკონომიკას და ეკონომიკურ კეთილდღეობას უზრუნველყოფენ.

### მაგრამ ჩვენ ხომ სხვა რეალობაში ვცხოვრობდით და გარკვეული აზრით ვაგრძელებთ ცხოვრებას?

- საბჭოთა კავშირის იდეოლოგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო ის, რომ მეცნიერება უნდა დააფინანსო იმისთვის, რომ სწავლებულმა არ გა-

მოთქვან პროტესტი - ანუ, განათლებული ადამიანები უნდა აკონტროლო და სასურველია გამოკეტილი გყავდეს. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაც და უნივერსიტეტების და კვლევითი ინსტიტუტების გაყოფაც ამას ემსახურებოდა: უნივერსიტეტებში, რაც არ უნდა იდეოლოგიური კონტროლის ქვეშ ქყავდეს პროფესორები და სტუდენტები, მაინც ძნელია კონტროლის შენარჩუნება, რადგანაც იქ ძალიან ბევრი სტუდენტია და ყველას ვერ "მიხედავ". სამაგიეროდ, შედარებით პატარა კვლევით ინსტიტუტში ეს ადვილია

### ზოგ ინსტიტუტს მისამართი კი არ ქონდა და "საფოსტო ყუთებს" ეძახოდნენ - რაც ნიშნავდა, რომ ისინი გასაიდუმლოებული იყვნენ

- "საფოსტო ყუთები" სამხედრო თემატიკაზე მომუშავე ინსტიტუტები იყვნენ. მაგრამ საერთო პრინციპი მაინც იგივე იყო - თუკი თანამედროვე განათლების და კვლევის პრინციპია - მიეცი საზოგადოების წევრებს საშუალება ააგონ ცოდნის ეკონომიკა და შეიმუშავე ახალი ცოდნა - საბჭოთა კავშირის პრინციპი იყო - დაუმალე ცოდნა საზოგადოების წევრებს და აწარმოე იარაღი. ბედნიერება/უბედურების სოციალური საფუძვლებიც შესაბამისადაა ამ ორ სისტემას შორის გადანაწილებული.

### ისევ უმაღლესი განათლების და კვლევის კონტროლის თემას რომ დავუბრუნდეთ

- კვლევითი ინსტიტუტებიც იმიტომ იქმნებოდა, რომ ცოდნა "გარეთ არ გამოპარულიყო". გახსოვს ალბათ, კვლევით ინსტიტუტებს ქონდათ ასპირანტურა (ახლანდელი დოქტორანტურის მსგავსი), სადაც მხოლოდ მეცნიერული კომუნიზმის ჩაბარების შემდეგ შეგვეძლო ასპირანტურაში მოხვედრა. ეს ახლა სასაცილოდ გამოიყურება, მაგრამ ეს ძლიერი იდეოლოგიური იარაღი იყო - განსაკუთრებით მათ მიმართ ვისაც სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან არ ქონდა შეხება. ამ პრინციპით საბჭოთა კავშირი გეუბნებოდა, რომ შენ ვერ მიხვალ "ნამდვილ ცოდნასთან", თუ მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლები კარგად არ იცი. სხვათა შორის, თბილისის უნივერსიტეტის დაყოფას რამდენიმე უნივერსიტეტად და ინსტიტუტად იგივე - ცოდნის დამალვის და სტუდენტების და პროფესორების კონტროლის მიზანი ქონდა - ბევრი უნივერსიტეტი, სადაც ცოტა სტუდენტია და კიდევ უფრო ცოტა პროფესორი - უფრო ადვილია აკონტროლო და კვლევაც არ იქნება ისე ძლიერი, ტოტალიტარულ სისტემას საფრთხე რომ შეუქმნას.

### ყოველივე ამის ფონზე საქართველოს პერსპექტივა რაში მდგომარეობს?

- არა მგონია რომ ველოსიპედები უნდა გამოვიგონოთ. უნდა მივყვეთ იმ გზას, რაც სულ ცოტა ხნის წინ უკვე განვითარებულმა ქვეყნებმა გაიარეს. ყოველივე იმის გათვალისწინებით რაც ზემოთ ვთქვი, ჩვენ ჩვენი ქვეყნის განვითარება ცოდნას უნდა დავამყაროთ და ვეცადოთ ამ ცოდნის ყველა შესაძლებელი მიმართულებით გამოყენებას. მაგალითად, მე არ ვფიქრობ, რომ საქართველომ უარი უნდა თქვას სოფლის მეურნეობაზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს დარგები მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით უნდა განვითარდეს და არა XIX საუკუნეში, ან უფრო ადრე შემუშავებული მეთოდებით.

სწორედ ამიტომ არის საჭირო ცოდნის გამოუმუშავების მაქსიმალური აკუმულირება უნივერსიტეტებში



- მხოლოდ ასე იქნება შესაძლებელი ცოდნის ეკონომიკისათვის აუცილებელი საფუძველი მივიღოთ. მეცნიერება მარტო საბუნებისმეტყველო და მათემატიკა არ არის - სხვას რომ თავი დაეხანებოთ, სწორი მართვის იდეებიც ხომ მმართველების კაბინეტებში არ იბადება, არამედ მეცნიერთა წრეში. ესეც მნიშვნელოვანი მოგებაა როგორც ეკონომიკური, ასევე საზოგადოებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით.

მეცნიერების საშუალებით ხდება ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება. მაგალითად, რუსეთში ახალგაზრდობას აგრესიული იდენტობა აქვს, შეიძლება ითქვას, რომ გამანადგურებლად ეყალიბდებიან. ეს ხომ ადამიანების ფიზიოლოგიაში ან გენეტიკაში არ დევს ამაზე პასუხისმგებელი არიან სწორედ ისინი, ვინც ბავშვობიდან უნერგავს რუსული იდენტობის ამგვარ გაგებას ისტორიის სახელმძღვანელოების, პრეზიდენტის მეთოდური მითითებების, სხვადასხვა სახის დირექტივებისა თუ რეკომენდაციების საშუალებით.

### ალბათ საბჭოთა აზროვნებიდან მომდინარეობს ერთი მითი, რომელიც ახლა სულ უფრო იშვიათად მესმის. ამბობენ, თითქოს საქართველოს ბედი სადაც სხვაგან იგვმება და იქ სხვაგან გადაწყვიტეს, რომ განვითარებად ქვეყნებს არაფრად სჭირდებათ მეცნიერება...

- ჰო, მეც გამიგია, სასაცილო რამეა. მაგრამ პრობლემა სხვა რამეა: თუკი ამ იდეას საბუნებისმეტყველო დარგის მეცნიერი, თანაც საბჭოთა გამოცდილების ავრცელებს, ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ თუ ამას ჰუმანიტარული, ან სოციალური მეცნიერების წარმომადგენელი - როგორი გამოცდილების მსხვერპლიც არ უნდა იყოს, ეს ნიშნავს, რომ მას საკუ-

თარ სფეროში არანაირი კვალიფიკაცია არ გააჩნია.

### მე ვისგანაც ვაგივე, ფიზიკოსი იყო.

- და ალბათ - საბჭოთა გამოცდილების მქონე ფიზიკოსი. სოციალურ გარემოზე ამგვარ წარმოდგენას შეიძლება ორი მიზეზი ჰქონდეს: ჯერ ერთი, ის, რომ ცნობილია, რომ სოციალურ მოვლენებს ადვილად, დამაჯერებლად და ამავე დროს რეალობიდან ყველაზე დაშორებულად შეთქმულების თეორია ხსნის. ეს მარტო ჩვენი პრობლემა არ არის. მაგალითად, აშშ-ში ამის თემატიკაზე მოხდა და ამ თეორიამ ლიტერატურულ ნაწარმოებებში და კინოებში გადაინაცვლა. ჩვენ ჯერ აქედან საკმაოდ შორს ვართ და ამიტომაცაა, რომ ეს ფიქცია ხშირად რეალობა გვგონია. მეორე მიზეზი კი, უბრალოდ, არცოდნაა. საქმე ისაა, რომ სოციალური სფერო ისეთივე რთულია, როგორც ბუნება, თუ უფრო რთული არა. საბჭოთა კავშირში კი ცდილობდნენ ჩვენს თავებში ჩაეღოთ, რომ სოციალური გარემო უმარტივესია და ორი თუ სამი კანონით იმართება, რომლებიც თავის მხრივ ისტორიული მატერიალიზმის ან მეცნიერული კომუნიზმის სახელმძღვანელოებშია მოთავსებული. ილუზიაა იფიქრო, რომ თუ საზოგადოებაში ცხოვრობ, ესე იგი, გესმის საზოგადოება. ეს იგივეა, რაც ცალკეულ ნეირონს მოვთხოვოთ, მოგეცეს მთელი ტვინის მუშაობის სქემა და კონცეფცია, რაკი მას ტვინში ყოფნის გამოცდილება აქვს.

ესეც საბჭოთა ცნობიერების რელიქტია. ჩვენში მოქმედი მეცნიერების უმრავლესობამ ცხოვრების დინამიკაში იმ რეალობაში გაატარა.

### სწორედ ამ ვითარების დაძლევაში ვხედავ მე ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა მთავარ გამოწვევას.

- ეს არა მარტო სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების მოვალეობაა, არამედ - საერთოდ მეცნიერების. არ შეიძლება გქონდეს წარმოდგენა, რომ შენს დარგში და მიმართულებაში უნდა იყო კრიტიკული, ხოლო გარემომცველი, ყოველდღიური სამყარო უკრიტიკოდ მიიღო. არადა ასეთ ვითარებას ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით. მაგალითად, ჩვენთან არიან ძალიან კარგი მეცნიერები, რომლებიც იმ სისტემას, რომლებშიც თვითონ აღიზარდნენ, უკრიტიკოდ იღებენ, და რაკი თვითონ იმ სისტემის პროდუქტები არიან, ის საუკეთესო ჰგონიათ.

### საბჭოთა კავშირის მეცნიერების სისტემას გულისხმობ? ხომ არის გავრცელებული აზრი, რომ საბჭოთა კავშირში მეცნიერებას დიდ პატივს სცემდნენ, რომ იმ დროს ქართულმა მეცნიერებამ მწვერვალს მიიღწია.

- მე მგონია ეს გავზიადებული და წარსულის მონატრებით გამომწვეული მითია. არა მგონია, რომ შევადაროთ დღევანდელი დაფინანსება და საბჭოთა კავშირის დროინდელი - საბჭოთა კავშირის სასარგებლო შედეგი მივიღოთ, თუკი პროპორციულად გადავითვლით ყოველ მეცნიერზე. როგორც უკვე ვთქვი, საბჭოთა კავშირში შეიარაღების მეცნიერება კარგად ფინანსდებოდა, მაგრამ ძალიან ცუდად ან საერთოდ არ ფინანსდებოდა სოციალური მეცნიერებები, ბიოლოგიის მთელი მიმართულებები. ჰუმანიტარული მეცნიერება ფინანსდებოდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ საბჭოთა იდენტობა შექმნილიყო. რა თქმა უნდა, ზოგიერთი მეცნიერი ახერხებდა პარტიულ კონტროლს არიდებოდა და მართლაც ახალი ცოდნა შექმნა, მაგრამ ეს არა სისტემის, არამედ, ამ კონკრეტული მეცნიერის დამსახურება იყო.

### გამოდის, ისეთ მდგომარეობაში ვართ, როგორც თავის დროზე ნიკიტამ აღწერა: ძველი ადამიანი მოკვდა და ახალი ჯერ არ დაბადებულა. რა ქნას ამ შემთხვევაში ინტელექტუალმა?

- მე ვფიქრობ, რომ შენ ინტელექტუალში ინტელიგენტს არ გულისხმობ. ეს ფენა არასოდეს გვეყოლება, თუმცა არსებობს მისი ალდგენის თუ შენარჩუნების ცდები. არ გვეყოლება თუნდაც იმიტომ, რომ მის შექმნას ჯერ რუსეთის იმპერიის და შემდეგ საბჭოთა კავშირის ალდგენა სჭირდება. ინტელექტუალი ყოველთვის იყო და არის ადამიანი, რომელიც ცდილობს, არ შეხედოს სინამდვილეს უმსჯელობებსა და ცრურწმენებზე დაყრდნობით. ადამიანი, ვინც ამკვიდრებს კრიტიკულ აზროვნებას და თავისუფლად ლაპარაკობს ამის შესახებ.

### დავაკონკრეტოთ, თუ შეიძლება...

- აი, თუნდაც ის პროექტი, რომლის მონაწილეც შენ იქნები. ეს არის პროექტი "საბჭოთა კავშირი". ჩვენ კრიტიკულად უნდა აღვწეროთ ეს ფენომენი და ისტორიული შეფასება მივცეთ მას. მართალია საზღვარგარეთ არსებობს უფრო ძლიერი სოციალური მეცნიერული ტრადიცია, მაგრამ მათთან შედარებით ჩვენ ის უპირატესობა გვაქვს, რომ ჩვენ გვახსოვს ჩვენი თავი იმ დროში. ეს იქნება რამდენიმე წლის შრომა, ამაში ჩავრთავთ სტუდენტებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, დანიწყებენ იმის კვლევას, რაც არ იცინა, მაგრამ აღმოაჩენენ ბევრ საერთოს თანამედროვე საქართველოს საზოგადოებასთან. ეს სამანალიანი კვლევა იქნება: პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა.

### არსებობს თვალსაზრისი, რომ ქართველი ინტელექტუალი წინა-

ალმდეგობრივ ვითარებაშია: ერთი მხრივ, ინტელექტუალთა თანამეგობრობა მისგან შემოქმედებას ითხოვს, მეორე მხრივ, საზოგადოებას სულ სხვა, ძირითადად, საგანმანათლებლო ხასიათის საჭიროება აქვს.

- არა მგონია. ქართული საზოგადოება თანდათანობით იღვიძებს და ძალიან ჯანსაღადაც. სხვათა შორის, მდგომარეობა, რომელიც შენ აღწერე, იმის ბრალიცაა, რომ ჩვენ გვრცხვენი ბედნიერებაზე ლაპარაკი. ამის გაკეთება არა მარტო ჩვენს პოლიტიკოსებს, ჩვენც გვიჭირს: ჩვენ არ ვლაპარაკობთ საყოველთაო ბედნიერებაზე, არამედ ნაციონალურ იდეაზე, საზოგადოების მოწყობაზე. პოლიტიკოსები გვთავაზობენ ლოზუნგებს "ქართველებო ერთად", რაც ნამდვილად საჭიროა, მაგრამ არაფერ ამბობს იმას, რომ მთავარი მიზანია, ამ ქვეყანაში ხალხი იყოს ბედნიერი.

ფიქრობ, ამ "სიმორცხვის" ერთ-ერთი მიზეზი - საბჭოთა დისკურსია, რომელიც სულ ბედნიერებაზე ლაპარაკობდა. როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით ჩვენ ვერ ვპოულობთ საკუთარ თავში ძალებს, დავაღწიოთ ანტი-საბჭოთა დისკურსს თავი და მთლიანად განვთავისუფლდეთ საბჭოთა რელიქტებიდან.

რაც უფრო მეტად ისწავლის საზოგადოება, მით უფრო ადვილად დაინახავს, რომ დასავლეთში ნაციონალური იდენტობაც ისეთივე ან უფრო ძლიერია, ვიდრე საქართველოში, რომ რელიგიურობაც არის, არარელიგიურობაც და არავინ ამას არ ებრძვის. ამას რომ დაინახავს, შემდეგ გასაგები გახდება, რომ ერთადერთი არჩევანი, რომელიც ჩვენ წინაშე დგას, არის არჩევანი მომავალსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ალბათ დღეს რუსეთი აკეთებს ამ არჩევანს საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. მაგრამ წარსულის არჩევა შეუძლებელია. იყო ასეთი მწერალი - კლიფორდ სიმიაკი, რომელიც ძალიან ჭკვიანი კაცი იყო და ბევრს ფიქრობდა საზოგადოებაზე და ადამიანის ქცევაზე. მაგრამ შემდეგ საკუთარი ფიქრის და დაკვირვების შედეგს სოციოლოგიურ ტრაქტატებით კი არა, ფენტეზის ჟანრის რომანებით გადმოსცემდა. ერთ-ერთი მისი რომანის გამჭოლი აზრია, რომ წარსული არ არსებობს. ეს თითქოსდა თავისთავად ცხადია, მაგრამ ჩვენს გარემოს თუ დავაკვირდებით, უამრავ ადამიანს თუ მოძრაობას ალმოვარჩენთ, რომლებსაც წარსულში დაბრუნება უნდათ. ძალიან მნიშვნელოვანია იმის მკვეთრი გაცნობიერება, რომ წარსული არ არსებობს, და მისკენ სწრაფვა გაქრობისაკენ, საკუთარ არსებობაზე უარის თქმისკენ სწრაფვაა.

**- რუსეთს ეს თითქოს წარმატებით გამოსდის?**

- მე მგონი, ის ცდილობს დაგვანახოს, რომ მას ეს საქმე წარმატებით გამოსდის. იმისათვის, რომ რუსეთს ეს პროექტი გამოუვიდეს, მთელი სამყარო უნდა გახდეს ისეთი, იმ დროის, რა დროშიც საბჭოთა კავშირი არსებობდა - ამერიკა, აფრიკა, ევროპა. ეს შეუძლებელია, ამიტომ, რუსეთი ამით მხოლოდ საკუთარი თავის გაქრობისაკენ მიდის. წარსულის არჩევა ნიშნავს საკუთარი გაქრობის არჩევანს, ნიშნავს არსებობაზე უარის თქმას. ამ გზაზე შორს წასული, ბოლოს და ბოლოს, აღმოაჩენს, რომ რისი არჩევაც უნდოდა, არ არსებობს. ხშირად დაბრუნება შეუძლებელი ხდება.

**- რა თქმა უნდა, რუსეთის კონფლიქტი მსოფლიოსთან სწორედ ამაზე მეტყველებს. მაგრამ არჩევანი მაინც ხომ უნდა დავინახოთ პოზიტიურად?**

- რა თქმა უნდა. გავიმეორებ, რომ ბედნიერებაზე ლაპარაკი არ უნდა შეგვრცხვეს. გაგიგონია რომელიმე პოლიტიკოსისაგან, რომ მისი მიზანია ამ ქვეყანაში ხალხის ბედნიერად ცხოვრება? აქ ლაპარაკობენ,

რომ საქართველო უნდა იყოს ძლიერი. მართალია, მაგრამ ეს წარმოსადგენია იმის გარეშე, რომ ადამიანები ბედნიერად არ ცხოვრობდნენ? ბედნიერება არ არის აბსტრაქტული რამ, ის საკმაოდ კარგად ექვემდებარება სტატისტიკურ დათვლას.

ხშირად ჩვენი მომავლის აღსაწერად ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი მოჰყავთ. მაგრამ რისი დანახვა შეიძლება ამერიკაში ან

**ჩვენ გვრცხვენი ბედნიერებაზე ლაპარაკი. ამის გაკეთება არა მარტო ჩვენს პოლიტიკოსებს, ჩვენც გვიჭირს. პოლიტიკოსები გვთავაზობენ ლოზუნგებს "ქართველებო ერთად", რაც ნამდვილად საჭიროა, მაგრამ არაფერ ამბობს იმას, რომ მთავარი მიზანია, ამ ქვეყანაში ხალხი იყოს ბედნიერი.**

ევროპაში? შენც იცი, რომ აშშ-ში შეიძლება დაინახო ყველაფერი, მაგალითად, უკიდურესად არატოლერანტული საზოგადოებრივი ჯგუფები, გადაჭარბებული რელიგიურობა ან, პირიქით... მაგრამ ეს ხომ არ არის ამერიკა. არ არის მისი არსი. ამერიკა არის ის, რომ იქ ყველა ადამიანს შეუძლია საკუთარი თავის გამოხატვა და ამიტომ შეუძლია თავი იგრძნოს ბედნიერად. სწორედ ამას არ ამბობენ ჩვენი პოლიტიკოსები და არ ლაპარაკობენ იმაზე, რასაც წინა ნათქვამი გულისხმობს - ბედნიერებაზე. ბედნიერების გარდა ყველაფერზე ლაპარაკით კი ჩნდება წარმოადგენა, რომ ამერიკად ყოფნა - ეს მისი გარეგანი სახის კოპირებაა, მაკლონალდები, ჯიპები, ჩიპები და ჯინსები, ნაფიცო მსაჯულები და მეტი არაფერი.

**- ბედნიერების მიღწევა თავისუფლების გარეშე შეუძლებელია. უნდა იყოს სამოქალაქო, პოლიტიკური და ინტელექტუალური თავისუფლება. მაშინ არსებობს ბედნიერების პერსპექტივა. მაგრამ თუ ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი ცდილობს სხვადასხვა სამეცნიერო სტრუქტურების შემოერთებას, ხომ არ ნიშნავს ეს სწორედ ინტელექტუალური თავისუფლების შეზღუდვას?**

- ესეც კიდევ ერთი მითი... საქართველოს პრობლემა არის ის, რომ ცოტა მეცნიერი გვყავს. თანაც გაძნელებულია მეცნიერთა რეპროდუქცია. ესეც მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობის ბრალია, რომლის შესახებაც უკვე ვილაპარაკეთ. სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ ყველა მკვლევარი ძალით იყო შეყრილი დახურულ ყუთებში, რომელთაც კვლევითი ინსტიტუტები ერქვა, უნივერსიტეტები და კვლევითი ინსტიტუტები ხელოვნურად იყო ჩაყენებული დაპირისპირებულ მდგომარეობაში.

მე არასოდეს არ შემპარვია ეჭვი, რომ ყველაზე პროდუქტიული გზაა, როდესაც კვლევა და სწავლება არის ერთად. მეცნიერები აწარმოებენ კვლევას სტუდენტების დახმარებით (აქ, უპირველეს ყოვლისა, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ვგულისხმობ) და ასწავლიან იმას, რასაც იკვლევენ.

ამგვარმა პრაქტიკამ - ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების დაახლოება ძალიან კარგი შედეგები გამოიღო ყველგან, მათ შორის პოსტ-საბჭოთა ქვეყნებშიც, ჩრდილო ევროპის ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ. ეს დადებითი შედეგი გამოიხატება არა მარტო მეცნიერული მიღწევებით, არამედ ყველანაირი რესურსების ბევრად ეკონომიური ხარჯვითაც. გაიხსენე, როგორ იყო საბჭოთა კავშირში: იყო უამრავი დაუბლირებული პროგრამა, ხოლო უნივერსიტეტიდან კვლევით ინსტიტუტში უმრავლესობა ნაცნობობით ხვდებოდა.

**- მეც ასე გამომივიდა, თავის დროზე... სადიპლომო პრაქტიკის**

**დროს გავიცანი ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები...**

- შენი მაგალითი კიდევ კარგი იყო, სადიპლომო პრაქტიკაზე მაინც გაგიშვეს კვლევით ინსტიტუტში. უმრავლესობის გამოცდილება ბევრად უფრო მძიმეა.

სხვათა შორის, დასავლეთში არქიტექტურულადაც ისე აგებდნენ უნივერსიტეტებს, რომ სხვადასხვა

დარგის წარმომადგენელ მეცნიერებს ბევრი შეხვედრის ადგილი ჰქონდეთ, რომ მათი ყოველდღიური მარშრუტები ბევრგან იკვეთებოდეს, რადგან სწორედ შეხვედრის, სინერჯის, თანამშრომლობის წყალობით ხდება ახალი იდეების გენერირება.

**- ამას წინათ რადიოში მოუხსენიე, როგორც თქვა ჟურნალისტმა: "ერთ-ერთი ინსტიტუტი მიუერთდა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს, უნივერსიტეტი ინსტიტუტის კვლევით საქმიანობაში არ ჩაერევა". ანუ, ჩვენს საზოგადოებაში გაბატონებულია წარმოადგენა, რომ ინსტიტუტის მიერთება ეს რაღაც დამოუკიდებლობების დაკარგვას ნიშნავს. იმდენად, რომ თავისი კეთილგანწყობის გამოსახატვად ჟურნალისტმა საჭიროდ ჩათვალა აქცენტი ამ "ჩაურევლობაზე" გაეკეთებინა..**

- უნივერსიტეტი ნამდვილად არ "ერევა არსად", - ეს წარმოუდგენელიცაა - რა დონეზე უნდა მოხდეს ჩა-

**ერთადერთი არჩევანი, რომელიც ჩვენ წინაშე დგას, არის არჩევანი მომავალსა და საბჭოთა კავშირს შორის. დღეს რუსეთი აკეთებს ამ არჩევანს საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. მაგრამ წარსულის არჩევა შეუძლებელია და მისკენ სწრაფვა გაქრობისაკენ. საკუთარ არსებობაზე უარის თქმისკენ სწრაფვაა.**

რევა - ადმინისტრაციის დონეზე ეს შეუძლებელია, მხოლოდ თუ დავეხმარებით, პროფესორების და მკვლევარების დონეზე - ამას თანამშრომლობა ჰქვია. რაც შეეხება უნივერსიტეტის ფარგლებში შემოსულ ინსტიტუტებს - ისინი მნიშვნელოვნად "ერევიან" უნივერსიტეტის კვლევით და სასწავლო ცხოვრებაში - ამით ინსტიტუტების თანამშრომლებს ეზრდებათ როგორც კვლევის შესაძლებლობები, ასევე - მათი კვლევის თანამედროვე მოთხოვნებისადმი მეტი შესაბამისობის შესაძლებლობა - თანამედროვე სამყაროში სულ უფრო მეტი და მეტი კვლევა ხდება ინტერდისციპლინარული და შედეგებიც ბევრად უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია. რაც შეეხება უნივერსიტეტს, ის ამ გაერთიანებით იღებს ახალ და საინტერესო თანამშრომლებს, რითაც მეტი შანსი ეძლევა არა მარტო მნიშვნელოვანი კვლევების დაწყების, არამედ - ცოდნის ეკონომიხატება არა მარტო მეცნიერული უფრო კარგად მომზადებისთვისაც.

თანაც უნივერსიტეტის შიგნით ყოფნა ბევრად უფრო "უსაფრთხოა". მაგალითად, არა ხარ დამოკიდებული კვლევით გრანტზე. თუ გრანტი გითავდება, კვლევა კი გაჩვენებს, რომ შედეგის მისაღებად კიდევ ერთი წელი მაინც გჭირდება, არ ვარდები პანიკაში იმის გამო, რომ ახალი გრანტია საშოვნელი. თანაც არ გი-

ჭირს ახალი თაობის - კვლევაში დამხმარეს - მოძიება. უნივერსიტეტი არის სტაბილურობა. თანაც ძალიან ღია სისტემაა და ძნელია ვინმეს რამე დააძალო. აქ თავისუფლების ხარისხი ბევრად მეტია: თუ მიგაჩნია, რომ ვინმე გზღუდავს, გადადი ამავე უნივერსიტეტში მყოფ სხვა ინსტიტუტში და გააგრძელე მუშაობა. ასე რომ უნივერსიტეტს აქვს სამი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რაც სხვა გარემოში არ არის: აკადემიური თავისუფლება, სტაბილურობა და კვლევის შეუზღუდავი პოტენციალი - ძალიან ბევრი არჩევანი - როგორც თანამშრომლების, ასევე სტუდენტების და კვლევითი საშუალებების. რაც, დამეთანხმებით, ძნელია წარმოიდგინო რაიმე მეტ-ნაკლებად დახურულ და პროფილურ კვლევით "ყუთში".

აქაც იგივე არჩევანია: გინდა იყო ბედნიერი, თუ იყო წარსულში?

**- შენ ხშირად ამბობ, რომ მეცნიერება მგრძნობიარეა პოლიტიკის მიმართ. უნივერსიტეტს თუ შეუძლია გავლენა მოახდინოს პოლიტიკური ნების წარმოქმნაზე სახელმწიფოში.**

- მეცნიერება მართლაც ძალიან მგრძნობიარეა პოლიტიკისადმი. ამის საილუსტრაციოდ საქართველოს მაგალითი შემიძლია მოვიყვანო. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ საქართველოში საერთაშორისო რეფერირებად და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების ბუმი პირველად 1992-93 წლებში მოხდა და ეს დაკავშირებული იყო ჯორჯ სოროსის მიერ ყოფილი საზოგადოებას კავშირის მეცნიერებისათვის საგრანტო კონკურსის გამოცხადებასთან. აი, მაშინ უნდა გენახა შეთქმულების თეორიის ბუმი - მიუხედავად იმისა, რომ სოროსის ფონდის გრანტში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გაიქცეოდა, მე პირადად რამდენიმე ვერსია მაქვს მოსმენილი, თუ როგორ აგროვებს სოროსი მონაცემთა ბაზას, რომ მე-

ცოტათი თუ გვისწრებს, ფინეთსა და ირლანდიაში ასეთი მეცნიერების რაოდენობა შეიძლება 10-ჯერაც კი მეტი იყოს. ის, რომ ჩვენი უმაღლესი განათლების და კვლევის პოლიტიკა სწორადაა დაგეგმილი, ფაქტია - პუბლიკაციების ბუმი - სწორედ უნივერსიტეტების და უნივერსიტეტების და ინსტიტუტების საერთო პუბლიკაციებით მიიღწევა.

**- ხნორი კი არის, მაგრამ მთავრობა ხომ არ შეფერხდა ამ გზაზე?**

- არა მგონია. ამას წინათ მთავრობის მიღებული გადაწყვეტილება - ერთიანი გამოცდების შედეგად დაფინანსდეს სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები - სწავლების გადასახადით, ხოლო სადოქტორო პროგრამების სტუდენტები - სტიპენდიებით - საქართველოში ცოდნის ეკონომიკის და ყოველი ადამიანის ბედნიერი არსებობის შესაძლებლობისათვის ისეთივე, თუ უფრო მნიშვნელოვანი არა, რეგულაციური და შორს მიმავალი პოზიტიური შედეგების მომტანია, როგორც 2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება.

**- უნივერსიტეტის და პოლიტიკის ურთიერთობაზე ვლაპარაკობდით.**

- უნივერსიტეტი თავისი ფორმის და მოქმედების ნების გამო იძულებულია პოლიტიკური ნიტრალობა შეინარჩუნოს. რა თქმა უნდა, პროფესორები სრულიად თავისუფალი არიან და ყოველთვის შეუძლიათ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად რაიმე განცხადების გაკეთება. ასევე სტუდენტებს აქვთ უფლება გამოხატონ თავიანთი პოლიტიკური თვალსაზრისები, მაგრამ უნივერსიტეტის არსი ის არის, რომ იმდენად უნდა იყვნენ ჩართულნი სწავლისა და კვლევის პროცესში, რომ არ შეექმნათ აუცილებლობა, სადღაც გარეთ ეძებონ ალტერნატიული თვითრეალიზაცია ან პრობლემების გადაწყვეტა.

მაგრამ უნივერსიტეტი დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკურ კლიმატზე ქვეყანაში. არა მარტო იმით, რომ უნივერსიტეტებიდან მომავალი პოლიტიკოსები გამოდებიან, არამედ იმითაც, რომ სკოლის მასწავლებლები უნივერსიტეტებში იღებენ განათლებას. აი, რუსეთში დაწყებითი სკოლის მოსწავლეები ხატავენ "კეთილ ბაბუა სკალონის" და რუს ჯარისკაცებს, რომლებიც იცავენ ჯვარლის ძეგლს ცუდი ქართველებისაგან. ეს ხომ შედაგოვთა შესაბამისი საქმიანობის შედეგად ხდება და არა თავისთავად. თავის მხრივ შედაგოვებში ასეთი მიდგომის შესაძლებლობა უმაღლესი სასწავლებელი აკონსტრუირებს.

აქაც ბედნიერების მიღწევის მიზანმიმდევრული მიდგოვით. რისთვის არსებობს მეცნიერება? მეცნიერი ყოველთვის ბედნიერებისათვის მუშაობს, მაშინაც კი, თუ მისი შედეგი, მაგალითად, ბირთვული იარაღია. ბირთვული იარაღის გამოგონებელმა მეცნიერებმა რა თქმა უნდა შეცდომა დაუშვეს - თუ სწორად მახსოვს, ამ შეცდომაში მთავარი ის იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფმა გერმანული წარმოშობის მეცნიერებმა არ დაუჯერეს გერმანიაში დარჩენილ მეცნიერს - ვერნერ ჰაიზენბერგს. ანუ, მათ ჩათვალეს, რომ ჰაიზენბერგის მეცნიერული იდეებობა და მისი მეცნიერული სინდისი უფრო სუსტი იყო, ვიდრე მისი გერმანული ნაციონალისტური თვითაღქმა. თუმცა, ამერიკელმა მეცნიერებმა ეს ბომბი მაინც შექმნეს მშვიდობისათვის, როგორც ძალადობის შემაკავებელი ფაქტორი. პირიქით არ გამოდის: გაიხსენე საბჭოთა კავშირი - აქ სურდათ მეცნიერების შედეგი უშუალოდ განადგურების იარაღი ყოფილიყო, მაგრამ არ გამოუვიდათ, ყველა იდეა მოპარული იყო მათგან, ვინც იგივეს აკეთებდა მისი დასაბრუნების შეკავებისათვის, უსაფრთხოებისათვის და ისევე, არ უნდა მოგვერიდოს ამ სიტყვის გამოყენება - ბედნიერების შესაძლებლობის არსებობისათვის.

### სააღდგომოდ პრეზიდენტი პატიმრებს შეინყალებს

„შენყალების კომისია მარტის ბოლოს შეიკრიბება და შეათანხმებს იმ პატიმართა სიას, რომელიც, შენყალების მიზნით, პრეზიდენტს გადაეგზავნება. პატიმრებს საპატიმროდან პრეზიდენტი სააღდგომოდ გაათავისუფლებს, - აცხადებს შენყალების კომისიის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე.

მისივე თქმით, შენყალების კომისია 20 თებერვალს უნდა შეკრებილიყო, თუმცა შეკრება მარტის ბოლოსთვის გადაიდო.

პრეზიდენტმა მთხოვა, რომ შენყალების კომისია მარტის ბოლოს შეიკრიბოს, ამის მიზეზი კი ის არის, რომ რაც შეიძლება პატიმართა მეტი საქმეების განხილვა მოესაზროთ, რათა შემდეგ, პრეზიდენტმა შენყალების აქტს ხელის მოაწეროს,“ - აცხადებს ელენე თევდორაძე.

ამჟამად შენყალების კომისია 600 პატიმრის საქმეს სწავლობს.

#### მედიანიუსი

### თბილისისა და მცხეთის სარეგისტრაციო ზონების საზღვრები შეიცვალა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ თბილისისა და მცხეთის სარეგისტრაციო ზონების საზღვრების ცვლილება მოახდინა.

თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების გაფართოების შემდეგ ხშირად იქმნებოდა პრობლემები სარეგისტრაციო ზონებთან დაკავშირებით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული ცვლილებებით თბილისის სარეგისტრაციო ზონის საზღვრებში მთლიანად მოექცა დიღმის ტერიტორია, მათ შორის სოფელი დილომიც.

აღნიშნული ცვლილება დიღმის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების მფლობელი მოქალაქეებისთვის შეფერხებას არ გამოიწვევს, ვინაიდან, მათ შეუძლიათ საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიმართონ როგორც თბილისის, ისე მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურებს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო განაცხადობს მუშაობას ქვეყნის ყველა ქალაქისა და რაიონის ადმინისტრაციული და სარეგისტრაციო საზღვრების ურთიერთშესაბამისობაში მოსაყვანად.

#### საკუთარი ინფორმაცია

### ორი პატიმარი შიმშილობას კვლავ აგრძელებს

პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში უკვე მეორე დღეა ორი პატიმარი შიმშილობს. შიმშილობის აქტის მიზეზი ორივე პატიმარს სხვადასხვა აქვს. პატიმარ გორა ჯინჭარაძეს ოპერაცია აქვს გასაკეთებელი. მისი მოთხოვნაა, რომ ოპერაცია მას დედაქალაქის საავადმყოფოში ჩაუტარდეს და არა პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. როგორც სასჯელალსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სალომე მახარაძე აცხადებს, ჯინჭარაძის ოპერაცია მომავალ კვირაშია დაგეგმილი. მისივე განმარტებით, ეს ჯინჭარაძის ოპერაცია რამდენიმე დღის წინ დაიგეგმა, თუმცა პატიმარმა შიმშილობა მაინც დაიწყო. ჯინჭარაძეს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები შეხვდნენ და კიდევ ერთხელ განუმარტეს, რომ მისი ოპერაცია მომავალ კვირას არის დაგეგმილი, მაგრამ ის მაინც აგრძელებს შიმშილობას. პატიმრის გადაყვანას საავადმყოფოში სპეციალური ტექნიკური მომზადება სჭირდება, - აცხადებს სალომე მახარაძე. რაც შეეხება მეორე პატიმარს, მალაზუ ზედელაშვილს, იგი მკურნალობის კურსის შეცვლას ითხოვს. სასჯელალსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, პატიმარი ზედელაშვილი ინვალიდია, იგი უკვე რამდენიმე წელია პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალობს. ზედელაშვილი სტაციონარში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და შესაბამისი მკურნალობა დღემდე უტარდება.

#### მედიანიუსი

### ყარალობა ნაბაკევში

გუშინწინ, გვიან ღამით, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში ჩიტაიების ოჯახი დააყარაღეს. ოჯახში მხოლოდ ქალები იმყოფებოდნენ. მათ ყარალების ხმა გაიგეს და ერთ ოთახში ჩაიკეტნენ. ყარალებმა წინააღმდეგობის გარეშე, ყველაფერი წაიღეს, რაც სახლში ღირებული იყო. ჩიტაიების დაყარაღების შესახებ მხოლოდ დილით გახდა ცნობილი. როგორც ადგილობრივები აღნიშნავენ, გალის რაიონში ქართულ მოსახლეობაზე ზენოლის ფაქტები დღითიდღე მატულობს.

#### პირველი

# შემსუბუქებელი სასჯელი

*იმერეთი-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატების გელა ბერაძისა და თამარ ორჯონიკიძის დახმარებით, განსასჯელებს მამუკა შ-ს და გიორგი შ-ს სასჯელი შეუშუბუქდათ.*

მათ ბრალად ედებოდათ ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჯგუფის მიერ პოლიციის მუშაკისთვის წინააღმდეგობის განხორციელება და საზოგადოებრივი

წესრიგის დაცვისთვის ხელის შეშლა. იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატები საქმეში სასამართლო განხილვის ეტაპზე ჩართვნენ. საქმე ისაა, რომ სასამართლოზე მონეწული ხუთივე მოწმე და თავად დაზარალებულიც პოლიციის თანამშრომლები იყვნენ. ბრალდების მხარემ გიორგი შ-სთვის 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და 6000 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა მოითხოვა, ხოლო მამუკა შ-სთვის - 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 8000 ლარის ოდენობით.

სასამართლომ დაცვის მხარის შუამდგომლობების უმრავლესობა არ დააკმაყოფილა. საზოგადოებრივმა ადვოკატებმა საკამათო სიტყვაში ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ პოლიციის მუშაკთა წინააღმდეგ ჯგუფის მიერ წინააღმდეგობის განხორციელება ბრალდების გადაკვალიფიცირება მოითხოვს.

საზოგადოებრივმა ადვოკატებმა ასევე მოითხოვეს ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ერთ-ერთ ფაქტზე მამუკა შ-სათ-

ვის ბრალდების მოხსნა, ვინაიდან, განსასჯელს ერთხელ უკვე შეეფარდა 7 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა და მისი იგივე ქმედებისთვის განმეორებით დასჯა კონსტიტუციის 42-ე მუხლს ეწინააღმდეგებოდა.

საბოლოოდ, რაიონულმა სასამართლომ განსასჯელებს ოთხ-ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ყოველგვარი ჯარიმის გარეშე. სააპელაციო სასამართლომ კი ამინსტიის გამო განსასჯელებს სასჯელი ექვს-ექვსი თვით შეუმცირა.

#### საკუთარი ინფორმაცია

# სახალხო დამცველის ოფისი ბამოქიებას და დამნაშავეების დასჯას მოითხოვს

დაკარგა გონება. ექიმმა ჯანსოთელს თავის ტვინის შერყევის დიაგნოზი დაუსვა და იმერეთის სამხარეო-კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

**ავადმყოფის სამედიცინო ბარათში აღნიშნულია, რომ პაციენტი კლინიკაში ტრავმის მიღებიდან 5 საათის შემდეგაა შეყვანილი. კლინიკაში შესვლის დროს პაციენტი თავის ტვინი უჩინოდ, ტკიოდა მარჯვენა ზედა კიდური და შეზღუდული ჰქონდა მოძრაობა. ექიმებმა ჯანსოთელს ქალა-ტვინის დაზარალებული ტრავმის და თავის ტვინის შერყევის დიაგნოზი დაუსვეს,** - აღნიშნულია სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ მასალებში.

სახალხო დამცველის რწმუნებულები იმერეთის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში ლაშა ჯანსოთელს და მის ოჯახის წევრებს შეხვდნენ. ჯანსოთელი და მისი ოჯახის წევრები სახალხო დამცველის რწმუნებულებთან ზეპირ საუბარში პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენებაზე საუბრობდნენ, დაკავებული იმასაც ირწმუნება, რომ მას პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. თუმცა, ომბუდსმენის აპარატთან თანამშრომლობისგან ისინი თავს იკავებენ.

2009 წლის 20 იანვარს ლაშა ჯანსოთელს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით (ზულოვნობა) წაუყენეს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ კიკვიძემ კი ბრალდებულს ალკოჰოლი ღონისძიების სახით 2 ათასი ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა.

სახალხო დამცველის მასალებში დასახელებულია მეორე ფაქტიც, სადაც საუბარი კვლავ იმერეთის სამართალდამცველებზეა. კერძოდ, როგორც ომბუდსმენის ოფისის წარმომადგენლები ირწმუნებიან, 2009 წლის 21 იანვარს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორმა ლევან იოსელიანმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით (სამართალდამცველი ორგანოების მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული სასამართალდარღვევისთვის დააკავა მოქალაქე დენის გვენეტაძე.

სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში გვენეტაძე აღწერს, რომ 21 იანვარს მერსედესის მარკის ავტომობილით მოძრაობდა, რა დროსაც, საგზაო მოძრაობის წესი დაარღვია და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა

გააჩერა. იმის გამო, რომ მართვის მოწმობა და ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი თან არ ჰქონდა, გვენეტაძემ სახლში შესვლა და საბუთების მოტანა გადაწყვიტა.

**სახლში პატრულ-ინსპექტორი შემომყვია, მანქანის გასაღები ხელიდან გამომგლიჯა და ავტომანქანაში ჩაჯდომა მომთხოვა. საპატრულო პოლიციის ავტომანქანაში ჩაჯდომის შემდეგ ასფალტზე უგონოდ დაცემული ბებიის დაღინახა და დასამარებლად გადმოსვლა ვცადა. ამ დროს გონება დაეკარგე. გონზე მოსვლის შემდეგ, ბუნდოვნად მახსოვს, რომ ავტომანქანის საბურავთან ვინეკი და წყალს მასხამდნენ. ამის შემდეგ საპატრულო პოლიციის ავტომანქანაში ჩამსვეს და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადამიყვანეს. მანქანაში იძულებით ჩაჯდა დედაჩემი ლალი გვენეტაძეც,** - იხსენებს დენის გვენეტაძე.

ომბუდსმენის აპარატის განმარტებით, ამ ფაქტზე დაკითხულები არიან სხვა მოწმეებიც, რომელთა ახსნა-განმარტებებში აღნიშნულია, რომ გვენეტაძესთან ერთად სახლში შესული საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ყვიროდა, გვენეტაძეს ტანსაცმელზე ექაჩებოდა და მოწმობის მოძებნის საშუალებას არ აძლევდა. პატრულმა ოჯახის წევრებს გვენეტაძესთან მისვლის შესაძლებლობა არ მისცა. ამ დროს გვენეტაძეს ძალით გამოგლიჯა ავტომანქანის გასაღები და კარის მეორე მხარეს მყოფ მეორე პატრულს ესროლა. ამ დროს გატყდა ავტომანქანის პულტიც. ხმაურზე ოთახიდან გამოვიდა გვენეტაძის ოჯახის ახლობელი ავადმყოფი ქალბატონი.

ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენელთა განმარტებით, მოწმეები ასევე აღნიშნავენ, რომ სამართალდამცველებმა გვენეტაძე ძალის გამოყენებით გაიყვანეს სახლიდან და მანქანაში ჩასვეს.

**პატრულის მანქანაში გვენეტაძე გვერდით მიუჯდა თამარ ცაავა, რომელიც პატრულმა ძალით გადმოიყვანა, რომელიც წაიქცა და გონება დაკარგა. ამავე პატრულმა მუცელში ნიხლი ჩაარტყა გვენეტაძის ბუბიას, რომელიც სამართალდამცველებს გონდაკარგული გვენეტაძის საავადმყოფოში წაყვანას სთხოვდა,** - იხსენებენ მოწმეები.

ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლებთან საუბარში, გვენეტაძის ოჯახის ახლობელი ზვიადაძე იხსენებს, რომ იმერეთის მსამხარეო მთავარ სამმართველოში ტაქსით მივიდა, თუმცა ამ

დროისთვის გვენეტაძე დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანილი არ იყო.

**სამხარეო სამმართველოსთან მიყვანილ გვენეტაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა, საჯაროდ სამართალდამცველმაც მიაყენა, რომელიც ნაცრისფერ ჯიბის მარკის ავტომობილში ჩაჯდა და წავიდა. ჩვენი პოლიციის სამხარეო სამმართველოს უფროსთან ვითხოვდით შეხვედრას, მაგრამ შენობაში არ შეგვიშვეს, მოგვიანებით ის პიროვნება, რომელიც გვენეტაძეს ურტყამდა, სამმართველოში დაბრუნდა და გვითხრა, რომ თავად იყო უფროსი,** - იხსენებს ზვიადაძე.

დაკავებულის დედამ განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს. იგი ირწმუნებოდა, რომ მისი ვაჟი სამართალდამცველებთან გართულეულ ურთიერთობის გამო დააკავეს. კერძოდ, 2008 წლის სექტემბერში გვენეტაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა უშუალოდ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს უფროსმა ბოდაველმა მიაყენა. მომხდართან დაკავშირებით ოჯახმა ქუთაისის რაიონულ პროკურატურას მიმართა. იმის მიუხედავად, რომ ფაქტზე გამოძიება დაიწყო, საბოლოო შედეგი დღემდე უცნობია.

21 იანვარს ადმინისტრაციული ბრალდებით დაკავებულ დენის გვენეტაძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) წარუდგინეს. 2009 წლის 23 იანვარს მას ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის სახდელის სახით 400 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა დააკისრა.

მოგვიანებით გვენეტაძეს სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მეშველიანმა ალკოჰოლის ღონისძიების სახით 300 ათასი ლარის ოდენობით გირაო, ხოლო გირაოს გამოყენების უზრუნველსაყოფად წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

სწორედ ამ ფაქტების გამო ითხოვს სახალხო დამცველის აპარატს ობიექტური გამოძიების ჩატარებასა და დამნაშავეების დასჯას.

# ნავთობის მეფეების დაცემა

## პუტინის, ჩავესის და ახმადინეჯადის ამბიციები ველარ დაკმაყოფილდება

განვითარებულ მსოფლიოს ნავთობი სჭირდება. მისი დიდი რაოდენობით ყიდვა კი მხოლოდ მეფეებთან შეიძლება. ახლა უკვე ყველაფერი სხვანაირად არის....

ნავთობზე ფასების დაცემა დიპლომატიურ ურთიერთობებში მსოფლიო რეგრესის ფონზე მოულოდნელი იმედი შექმნა, რადგანაც მნიშვნელოვნად დაასუსტა ზოგიერთი არაკეთილმოსურნე რეჟიმი.

როგორ შეიძლება შეიცვალოს სიტუაცია, სულ რაღაც, ნახევარი წლის განმავლობაში... შარშან ზაფხულში, როდესაც ნავთობის ფასებმა ყველა ძველი რეკორდი მოხსნა და ბარელზე 147 დოლარს მიაღწია, ნავთობის მეფეების ქედმაღლობაც განუზომლად გაიზარდა. ვლადიმერ პუტინმა საქართველოში რუსული ტანკები შეიყვანა, ფარდა ახადა თავის მიზანს - საბჭოთა იმპერიის ჩარჩოებში აღადგინოს ყოფილი გავლენა. პრეზიდენტი მაჰმუდ ახმადინეჯადი ირანში ყოველნაირად ამცირებდა დოლარის მნიშვნელობას, იგი "უფარგის ქალაქად" გამოაცხადა და დაიწყო ფინანსური რესურსების ევროში გადაყვანა. ამავე დროს ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი რუსეთში ჩადიოდა და პუტინთან შეხვედრის დროს იარაღის შესყიდვის ხელშეკრულების დეტალებს განიხილავდა.

ამ ლიდერების აღმასვლა ოქროს ხანის თავისებური ჩრდილოვანი მხარე იყო, რაც დანარჩენი მსოფლიოსთვის გადაფარული იყო მსოფლიო ეკონომიკის აღმასვლით. აყვავებულ მსოფლიოს ნავთობი სჭირდება, გამყიდველის არჩევა კი შეზღუდული იყო. "შავი ოქროს" დიდი რაოდენობით ყიდვა მხოლოდ მეფეებთან შეიძლება. ახლა ყველაფერი სხვანაირად არის.... მსოფლიო ეკონომიკის რეგრესით გამოწვეულმა კოლაფსმა, ნავთობზე მოთხოვნის კლებამ და შედეგად მასზე ფასის 37 დოლარამდე დაცემა პუტინი-ჩავესი-ახმადინეჯადის ტრიოს თავისი ძალა დააკარგვინა. მათ მიერ ნავთობზე აგებული იმპერიები საკმაოდ მყიფე აღმოჩნდა. ამ სახელმწიფოებზე სერიოზულად მოქმედა ინფლაციამ და უმუშევრობამ, ხოლო პოლიტიკური უნესრიგობა, რაც იმპერიებში ყველის, უკვე საფრთხეს თითოეული ამ ლიდერის პირად პოლიტიკურ ძალას უქმნის. ნავთობზე მალაღობა ფასებმა და ნავთობის მარაგმა უკანასკნელ წლებში მთლიანად შეცვალა გეოპოლიტიკური ტენდენციები.

ნავთობის მეფეების დაცემა მოულოდნელი გამოანთებაა მსოფლიო ეკონომიკის დაუნდობელი რეგრესის ფონზე. ბარაკ ობამამ ამერიკის მტრებს დიპლომატიის შესთავაზა. მიპატიჟებას პუტინი, ჩავესი და ახმადინეჯადი მოულოდნელი მზადყოფნით ხვდებიან, რადგან ნავთობის ფასი მათ გეოპოლიტიკურ ამბიციებს აღარ აკაზრდობდა. უცებ "ამერიკული იმპერიალიზმის" ამ თავზე ხელაღებულმა კრიტიკოსებმა სურვილი გამოთქვეს, მიუხედავად მაგიდას და ახალ ადმინისტრაციასთან მეგობრულად "იჭუჭუქოვნ". ჩავესმა, რომელიც ადრე ბუშს ხშირად "სატანას" უწოდებდა, ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ სურს, ესაუბროს ობამას "თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე". წინა კვირაში, ირანის რევოლუციის 30 წლისთავზე ახმადინეჯადმა აღნიშნა, რომ მისი კირი "მზად არის დიპლომატიისთვის." მართალია, პუტინი ჯერ კიდევ განაგრძობს რეგრესიონში იარაღის უღარუნს, მაგრამ მისი მომხრეები უკვე


გამოდიან უფრო მეგობრული წინადადებებით: **"რუსეთის და ნატო-ს ურთიერთობა, - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა, - შეიძლება დაუბრუნდეს ნორმალურ ჩარჩოებს."**

ყველასათვის ცნობილია, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ობამას მოუწევს საგარეოპოლიტიკური პრობლემების საკმაოდ ფართო სპექტრის მოგვარება, რომელთა გეოგრაფიაც სუდანიდან ჩრდილოეთ კორეამდე გადაჭიმული, თუმცა მათ შორისაც გამოირჩევიან ნავთობის მეფეები თავიანთი ამბიციების მასშტაბურობითა და აგრესიულობით. პუტინი აპირებს გაზის კარტელის შექმნას, რომელიც "ოპეის" მეტოქე უნდა გამხდარიყო. ის აგრძელებს აშშ-სთან ბრძოლას აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის გაზის ქსელებზე პოლიტიკური გავლენის კონტროლის მოსაპოვებლად. ჩავესი ცდილობს, დაემთავრებინა ლათინოამერიკული იმპერიის შექმნა, რომელზეც თავის დროზე მისი კერპი სიმონ ბოლივარი ოცნებობდა. მათ შორის უნდა ჩამოყალიბებულიყო რეგიონული ბანკი, ჩავესის პირადი კონტროლით. ახმადინეჯადს სურდა, ირანს რეგიონული პოლიტიკური ცენტრის როლი დაებრუნებინა, რისი ერთ-ერთი საფუძველიც ბირთვული იარაღი იქნებოდა. მას ახლო აღმოსავლეთიდან ისრაელის გაქრობის გეგმაც ჰქონდა. ძალიან ძნელია დავასახელოთ სხვა სამი ლიდერი, რომელთა დაკნინებაც ამერიკას უფრო მეტად დააინტერესებდა.

დაცემა მართლაც თავზარდამცემია. "ნავთობსახელმწიფოები" საკრედიტო-ფინანსური კრიზისის გამო სხვებზე მეტად დაზარალდნენ. სამივე ლიდერის პოპულარობას "შავი ოქროდან" მიღებული მოგებით დაფინანსებული სოციალური პროგრამები განაპირობებდა. ისინი მოსახლეობას სასურსათო და ენერგეტიკულ სუბსიდებსა და შეღავათებს სთავაზობდნენ. თავიდან 2009 წლის ბიუჯეტები გათვლილი იყო იმ მოგებაზე, რასაც მოიტანდა ბარელ ნავთობზე ფასის შენარჩუნება 86-დან 100 დოლარამდე. ამ ჩამოფასების შედეგი ემუქრება არა მარტო ეკონომიკას, არამედ ამ რეჟიმების პოლიტიკურ ლეგიტიმურობას.

ხარჯვითი ნაწილის არსებულ დონეზე შენარჩუნების სურვილი მხოლოდ აღრმავებს დეფიციტს და ხელს უწყობს ინფლაციის ზრდას, რომელმაც დიდ ორნიშნა რიცხვებს უკვე მიაღწია. ექსპერტი მორგან სტენლი ვარაუდობს, რომ რუსეთი წელს დაკარგავს 3,5 პროცენტს, ხოლო ვენესუელის ეკონომიკის დანაკარგი 1 პროცენტი იქნება (მსგავსი მონაცემები ირანთან მიმართებაში ჯერ არ გვაქვს). რამდენადაც უცხოური კაპიტალი რუსეთიდან უფრო ჩქარა გაიტანეს, ვიდრე განვითარებადი ბაზრის მქონე ნებისმიერი სხვა ქვეყნიდან, რუსეთის ფასიანი ქაღალდების ბაზარი იმაზე მეტად შემცირდა, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში. შარშანდელ ზაფხულთან შედარებით კლებამ 75 პროცენტი შეადგინა. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ პუტინი, რომლის გუნდიც მიზანმიმართულად უშლიდა ხელს **British Petroleum**-ის მსგავს მსხვილ დასავლურ ფირმებს, რომლებიც ბაზარზე ადგილის მოსაპოვებლად რუსულ პარტნიორებს ეჯიბრებოდნენ, ახლა უკვე მიანიშნებს, რომ სიხარულით მიიღებს დასავლელ ინვესტორებს.

კოლაფსი სულაც არ იყო გარდაუვალი, მაგრამ ნავთობის მეფეებმა თვითონ გამოიწვიეს კრახი. მათ უგულბებლად ყველა საკმარისი ინვესტი-



ციების მოზიდვის აუცილებლობა საკუთარი ნავთობის მრეწველობის გასაუმჯობესებლად და სხვა დარგების გასავითარებლად, რომლებსაც საექსპორტო შემოსავლების მოტანა შეეძლო. ამერიკული კვლევების თანახმად (**PFC Energy**), სხვა ნავთობმომპოვებელი ქვეყნები, მაგალითად საუდის არაბეთი და სპარსეთის ყურის დანარჩენი სახელმწიფოები, ახლაც საკმაოდ კომფორტულად გრძნობენ თავს. მათი კეთილდღეობა არ კლებულობს. ამ დროს ირანი და ვენესუელა მთელ თავის რეზერვებს მთავრობის ბიუჯეტების შენარჩუნებას ახმარენ. ბოლო ორ თვეში რუსეთმა რუბლის დასაცავად თავისი 650 მილიარდ-დოლარიანი რეზერვის (უცხოური აქტივების) თითქმის მესამედი დახარჯა. **PFC**-ის შეფასებით, წლის ბოლომდე ვენესუელა 38 პროცენტს დაკარგავს იმ უცხოური აქტივებიდან, რაც მას 2008 წლის დასასრულისთვის ჰქონდა, ხოლო ირანი დაახლოებით 25 პროცენტს დახარჯავს. მოკლედ რომ ვთქვათ, დღევანდელ ეკონომიკურ პირობებში ეს ნავთობმომპოვებელი ქვეყნები მეგობარობის უფრო დიდხანს შენარჩუნებას ვერ შეძლებენ.

უმუშევრობის ზრდამ და ფინანსური რესურსების შემცირებამ შეიძლება პოლიტიკური ბუმერანგის

ძირითადად იმის გამო, რომ ბიზნესის ამ სფეროში "უცხოებს" არ უშვებენ. ირანისთვის აშშ-სა და გაერო-ს სანქციები იმას ნიშნავს, რომ უცხოური კომპანიების უმრავლესობა ვერ ეკარება სიდიდით მსოფლიოში მესამე ადგილზე მყოფ საბადოებს. ცოტა ხნის წინათ მომხდარი რუსეთის კონფლიქტი **BP**-სთან და **Shell**-თან იმით დამთავრდა, რომ რუსმა პარტნიორებმა ცალმხრივად "მოირგეს" კონტრაქტები და საქმის წარმოების პირობები. როცა ნავთობის ფასი მალალი იყო, ჩავესმა თავისი ქვეყნის ნავთობსანარმოების უმრავლესობის ნაციონალიზაცია გამოაცხადა, უცხოელებს კი გადასახადები 16-ჯერ გაუზარდა. ამ უკანასკნელთა უმრავლესობამ სასწრაფოდ დატოვა ქვეყანა. ახლა ფასები დაეცა და ჩავესი ცდილობს, ისინი კვლავ დაითანხმოს ქვეყანაში დაბრუნებაზე.

დასავლეთთან კავშირს დიდი მნიშვნელობა აქვს, მიუხედავად იმისა, აღიარებენ თუ არა ამას ნავთობის მეფეები. მაგალითად, რუსეთში საბადოების უმრავლესობა ძნელად მისადგომ რაიონებშია, დამარხულია ციმბირის ყინულების რამდენიმე ფენის ქვეშ. იქ ნავთობის მოპოვება მოითხოვს როგორც კაპიტალის და ტექნოლოგიების მოზიდვას (თუმცა ამ ტექნოლოგიების ნაწილი რუსეთმა **BP**-ს და **Shell**-ს წაართვა), ასევე სპეციალისტების გამოცდილებას, რომელიც საკმარისად ჰყავთ ევროპულ და ამერიკულ კომპანიებში. მაგალითად, კატარს შეუძლია ბურღვა და ნავთობის მოპოვება, ნავთობის ფასი 10,18 დოლარზეც რომ დაეცეს, ვენესუელას კი იგივეს გასაკეთებლად ცხრაჯერ მეტი სჭირდება.

თუმცა არის სცენარიც, რომლის შემთხვევაშიც ნავთობის მეფეები სწორედ თავისი არაკომპეტენტურობით ნახავენ მოგებას, ხოლო დასავლეთი სერიოზულად იზარალებს. **PFC**-ის თავმჯდომარე რობინ ვესტი აღნიშნავს, რომ ნავთობის მეფეების ცუდმა მმართველობამ შეიძლება მსოფლიო ბაზარი ააფეთქოს. **"საშემოწმებაა ის, რომ მსოფლიო ეკონომიკა ორ-სამ წელიწადში რეცესიის მდგომარეობიდან გამოსვლას დაინწყებს, ნავთობის ფასიც მოიმატებს, ხოლო ამ ქვეყნებს არ ექნებათ ჩადებული ის ინვესტიციები, რაც საჭირო იყო."** ამ ორგანიზაციის აზრით, ერთ წელიწადში ნავთობის ფასი, სულ ცოტა, გაორმაგდება.

ახლო მომავალში კი ნავთობზე ფასების დაცემა (ზოგიერთი ანალიტიკოსი მის 25 დოლარამდე ჩამოსვლას ვარაუდობს) შესუსტებს რეცესიისგან გამოწვეულ პრობლემებს და იმ "თავის ტკივილსაც", რაც ნავთობის მეფეების მოქმედებებმა გამოიწვიეს. როცა შეერთებული შტატების ეროვნული დაზვერვის დირექტორმა დენის ბლერმა განაცხადა, რომ მსოფლიო კრიზისმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა აშშ-ს, რადგან მსოფლიოს ქვეყნების მეოთხედში უკვე არასტაბილურობის ნიშნები, არ აღუნიშნავს, თუ რა კოზირი აქვს ხელში ამერიკას. მას შეუძლია ისარგებლოს მტრების სისუსტით და მათ სანამ შიდა პრობლემები მეტად განაწყობს კომპრომისისკენ, მოლაპარაკებები თავის სასარგებლოდ წარმართოს.

როცა ნავთობის ფასი სამიშნა რიცხვია, პარტნიორების ინტერესების უგულბებლყოფა ადვილია. მაგრამ როცა მოგება არ არის, ამის გარეთაა ძნელი. ახლა ამ სახელმწიფოების ხაზინიდან ნავთობდოლარები უკულმა მიედინება.

*"ნიუსუიკის მიხედვით" მოამზადა ივა შილაკაძე*

ეფექტი მოგვეცეს. ირანში მასობრივად იხურება საწარმოები, ხოლო პოპულარული ექს-პრეზიდენტი და რეფორმატორი მოჰამად ხათამი ისევ ბრუნდება, რათა ახმადინეჯადს იენისში დაგეგმილ არჩევებზე შეეჯიბროს. ვენესუელაში რეფერენდუმის ჩატარების წინ საგრძნობლად გააქტიურდა ანტისამთავრობო ოპოზიცია (თუმცა ჩავესმა მაინც მიიღო "ნებართვა", იმდენჯერ იყაროს კენჭი, რამდენჯერაც მოისურვებს). რუსეთში მრავალრიცხოვანი ქუჩის აქციები გაიმართა. ისინი გამოიწვია გადასახადების ზრდამ, ხელფასის გადაუხდელობამ მძიმე მრეწველობასა და წარმოების სფეროში. ამის პასუხად კრემლმა კანონების საზიზღარი პაკეტი მიიღო. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, "მასობრივ არეულობებში" მონაწილეობა "სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად" მიიჩნევა. არმიიდან 280 ათასი ოფიცრის დათხოვნა გაურკვეველი ვადით გადაიდო, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამ დიდ ქალაქში "სპეცდანიშნულების ცენტრები" შექმნა და ისინი ქუჩის აქციების აღსაკვეთი სათვალთვლო აპარატურით აღჭურვა.

ამ სამი ქვეყნის ნავთობისა და გაზის მრეწველობა ყველაზე ნაკლებეფექტურია მთელ მსოფლიოში -

# "ახალი ერა საერთაშორისო ურთიერთობებში"

ობამას მიმართვა კონგრესისადმი

ხათუნა ბაბიჯი

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კონგრესის ორივე პალატისადმი პირველი მიმართვა შემდეგი ფრაზით დაიწყო: "ახალი ადმინისტრაციის ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე შეერთებული შტატების მსოფლიო საზოგადოებასთან ურთიერთობაში ახალი ერა დაიწყო." ამერიკის ახალი ლიდერმა გამოსვლაში თავისი ხელისუფლების უმთავრეს საგარეოპოლიტიკურ მიმართულებებზე ისაუბრა.

**"ჩვენ სიტყვით და საქმით მსოფლიოს ვანიშნებთ, რომ დაიწყო ურთიერთქმედების ახალი ერა. ვიცით, რომ ამერიკას მართოს არ შეუძლია საუკუნის გამოცდილების განეიტრალება. თუმცა, ისიც კარგად ვიცით, რომ არც მსოფლიოს ძალუძს ამერიკის გარეშე ამ საფრთხეების განეიტრალება. 21-ე საუკუნის გამოწვევებზე საპასუხოდ - დანერგული ტერორიზმით, ბირთვული იარაღის გავრცელებით, პანდემიის პრობლემითა და დამთავრებული სილატაკით - ჩვენ გავაძლიერებთ ძველ ალიანსებს, შევქმნით ახალს და გამოვიყენებთ ნაციონალური ძლიერების ყველა ელემენტს,"** - განაცხადა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ახალ ადმინისტრაციას კარგად ესმის, რომ არ შეიძლება მოლაპარაკებების მაგივრად მიტოვება და იმ მეტოქეთა თუ ძალთა იგნორირება, რომლებიც შეიძლება საფრთხის წყაროდ იქცნენ.

შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს ერაყში ომის დასრულების სტრატეგიას. გარდა ამისა, ოფიციალური ვაშინგტონი "მეგობრებისა და მოკავშირეების დახმარებით ახალი ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავებასაც აპირებს ავღანეთსა და პაკისტანში ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის". ამერიკის ლიდერს არ დაუკონკრეტებია, კერძოდ როგორი კორექტივები შევაავლანეთში ვითარების ნორმალიზა-

ციისკენ მიმართულ კურსში. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ არ დაუშვებს, "ტერორისტებმა ამერიკელი ხალხის წინააღმდეგ შეთქმულებები ხლართონ".

**"არ არსებობს მსოფლიოში იმაზე უფრო ძლიერი ძალა, ვიდრე თავად ამერიკის მაგალითია. სწორედ ამიტომ გავეცი გუანტანამოს საპრობილის დახურვის განკარგულება. ჩვენ ვეცდებით, სწრაფად მივალნიოთ მართლმსაჯულებას დაკავებული ტერორისტებისთვის,"** - აღნიშნა ობამამ.

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კონგრესმენებთან მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისსა და ქვეყნის ამ უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანის აუცილებლობაზეც ისაუბრა.

**"მაშინ, როდესაც ჩვენი ეკონომიკა დასუსტდა და ჩვენი რწმენა შეირყა, როდესაც ჩვენ გაურკვევლობის მძიმე დღეები გადაგვაქვს, მინდა, თითოეულმა ამერიკელმა იცოდეს, რომ ჩვენ აღვდგებით, ავლორძინდებით და იმაზე უფრო ძლიერები ვიქნებით, ვიდრე ადრე ვიყავით. ქვეყანაში არსებული სიძნელების გადასალახავად დღეს აუცილებელია იგივე თვისებების გამოყენება, რამაც აშშ მსოფლიოში ყველაზე დიდ, ძლიერ და პროგრესულ სახელმწიფოდ აქცია კაცობრიობის ისტორიაში,"** - აცხადებს ობამა.

მისი თქმით, რეცესიული მოვლენების გადასალახავად მნიშვნელოვანია შეცდომების აღიარება. ობამა ამერიკული ეკონომიკის ასაღორძინებლად აუცილებლად მიიჩნევს ისეთი დარგების ინვესტირებას, როგორებიცაა ენერჯეტიკა, ჯანდაცვა და განათლება. პრეზიდენტის აზრით, თანამედროვე პირობებში დაუყოვნებლივ მოქმედება საჭირო, რის გამოც მისმა ადმინისტრაციამ სამამულო ეკონომიკის სტიმულირების პაკეტი შეიმუშავა. ამ პაკეტმა კანონის ძალა უკვე მიიღო. პრეზიდენტი ირწმუნება, რომ აღნიშნული პაკეტის მეშვეობით მომდევნო ორი წლის განმავლობაში შენარჩუნდება და შეიქმნება 3.5 მილიონი სამუშაო ადგილი, მათგან 90 პროცენტი კერძო სექტორში. ბარაკ ობამა ასევე პირობას



დებს, რომ ოჯახების 95 პროცენტი საგადასახადო შტაბს დატოვებს მიიღებს, ხოლო განათლების მიღების საფასურის დაფარვა საგადასახადო კრედიტით იქნება შესაძლებელი, რომელიც 2.5 ათას აშშ დოლარს შეადგენს.

ეკონომიკის სტიმულირების გეგმას ბარაკ ობამა "მხოლოდ პირველ ნაბიჯს" უწოდებს, რომელიც ვითარების სტაბილიზაციას ითვალისწინებს. მისივე თქმით, ამ გეგმის ეფექტური დანერგვისთვის აუცილებელი იქნება საკრედიტო ბაზრებზე კრიზისის გადალახვა და საბანკო სისტემისადმი ნდობის აღდგენა. აშშ-ს პრეზიდენტმა აღიარა, რომ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ფედერალურ ბიუჯეტს ძვირი დაუჯდება,

რეზერვების სტაბილიზაციას ითვალისწინებს. მისივე თქმით, ამ გეგმის ეფექტური დანერგვისთვის აუცილებელი იქნება საკრედიტო ბაზრებზე კრიზისის გადალახვა და საბანკო სისტემისადმი ნდობის აღდგენა. აშშ-ს პრეზიდენტმა აღიარა, რომ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ფედერალურ ბიუჯეტს ძვირი დაუჯდება,

თუმცა იგი ასევე დარწმუნებულია, რომ უმოქმედობა კიდევ უფრო ძვირი იქნება, ხოლო შედეგებს აშშ ათწლეულების განმავლობაში იგრძნობს.

**"უმოქმედობა უფრო ცუდი იქნება ჩვენი ბიუჯეტის, ბიზნესისა და მომავალი თაობისათვის, რასაც მე არ დავუშვებ. მოვიდა გამამწყვეტი და ბრძნული ნაბიჯების გადადგმის დრო, რათა არა მარტო ავალორძინოთ ეკონომიკა, არამედ გრძელვადიანი კეთილდღეობისთვის ახალი, საიმედო ბაზისი შევქმნათ,"** - განაცხადა სიტყვის დასრულებისას შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

მისი თქმით, წარსულს ჩაბარდა დრო, როცა მოკლევადიანი მიღწევები უფრო ფასობდა, ვიდრე გრძელვადიანი კეთილდღეობის პროექტები.

**"პროფიციტული ბიუჯეტი სიმდიდრის მდიდრებზე გადაცემის საბაზის გახდა და არა საკუთარი მომავლისთვის ინვესტიციის ხელსაყრელი შესაძლებლობა. სახელმწიფო რეგულირება ბაზრის გაჯანსაღების საბაზის ჯიბის გასქელებას შეენიშნა. თანაც უკიდურესად საჭირო დებატები და რთული გადაწყვეტილებები ყოველთვის სამომავლოდ იდებოდა. მომავალზე პაუსის ხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების დრო მოვიდა,"** - აღნიშნა ბარაკ ობამამ.

დაბოლოს, "დემოკრატი" პრეზიდენტი ენერჯეტიკის სფეროსაც შეეხო და კონგრესის ორივე პალატას დაჰპირდა, რომ ქვეყანა მომავალი სამი წლის განმავლობაში განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერჯის მიღებას გააორმაგებს.

**"ჩვენ გამოვიგონეთ მზის ენერჯის მიღების ტექნოლოგია, მაგრამ წარმოებისას ჩამოვრჩით ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა გერმანია და იაპონია. მოვიდა დრო, ამერიკა კვლავ გახდეს ლიდერი,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ოფიციალური ვაშინგტონის წლიურად 15 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელებას აპირებს თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავებაში, რომლის წყაროც მზისა და ქარის ენერჯია და ბიოსანავი იქნება.

# რუსეთმა და ირანმა ბუშერის ატომური ელექტროსადგურის საბაზისო გამოცდა დაიწყეს

მარიკა იაზვილი

ირანისა და რუსეთის ერთობლივი პროექტი დასასრულს უახლოვდება. ირანში ბუშერის ატომური ელექტროსადგურის წინასწარი გამოცდა დაიწყო. ამ ეტაპზე სადგურის ექსპლუატაციაში ჩასაშვებად მომზადების ფარგლებში კომპიუტერული სისტემების გამოცდა იგეგმება. როგორც ირანის ატომური ენერჯის ორგანიზაციის წარმომადგენელი მოჰსენ დელაიზი აცხადებს, ბუშერის სადგურის საბაზისო ამუშავება "როსატომის" თავმჯდომარე სერგეი კირიენკოს და ატომური ენერჯის ირანული ორგანიზაციის თავმჯდომარე გოლამრეზი ავაზადეს თანდასწრებით მოხდება.

კირიენკო თეირანში 25 თებერვლის ღამეს ჩავიდა. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას გა-

ნაცხადა, ცდები ბუშერის ატომური ელექტროსადგურის უსაფრთხოების სისტემის შესამოწმებლად არის აუცილებელი. კირიენკომ ჟურნალისტების ისიც უთხრა, რომ მოგვიანებით სადგურში ჰიდრავლიკური ცდებიც ჩატარდება, რაც მისი სიმყარის შემოწმებას ემსახურება.

სადგურის ტერიტორიაზე ჩატარებულ თაბირზე კირიენკომ აღნიშნა, რომ რუსი და ირანელი სპეციალისტები ყურადღებითა და პასუხისმგებლად უნდა მიუდგნენ მუშაობისა და გამოცდის ამ ეტაპს. "დღეს ჩვენ ატომური ელექტროსადგურის ამუშავების დიდ კომპლექსს ვინწყებთ. კონკრეტულად კი მოხდება იმიტაციური სანავის კასეტების რეაქტორში ჩაშვება, ამის შემდეგ კი ჰიდრავლიკური გამოცდა დაიწყება," - განაცხადა კირიენკომ.

სადგურის ამუშავებისთვის საჭირო სანავი ბუშერში 2008 წლის

იანვრის ბოლოს ჩაიტანეს. ეს პროცესი რუსეთ-ირანის სამთავრობო შეთანხმების საფუძველზე განხორციელდა და მას ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო აკონტროლებდა. ირანთან შეთანხმების საფუძველზე, მთელი დასხივებული ბირთვული სანავი ბუშერის ატომური ელექტროსადგურიდან ისევ რუსეთის ფედერაციაში დაბრუნდება.

სადგურის ფიზიკური გაშვება შესაძლოა მიმდინარე წლის ბოლომდე მოხდეს. პირველი ირანული ატომური ელექტროსადგურის აღჭურვა უკვე დასასრულს უახლოვდება.

"თუ რამე არაგეგმიური არ მოხდება, რაც გასაკვირი არ იქნება იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ძველი მონოპოლიზაციის ინტეგრაციაზე ვმუშაობთ, მაშინ სადგურის ამუშავება გრაფიკის მიხედვით დაიწყება," - ამბობს კირიენკო.

ბუშერის ატომური ელექტრო-

სადგური ირანის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ტემპერატურით გამორჩეულ ადგილას, სპარსეთის ყურის სანაპიროზე მდებარეობს. სადგურის მშენებლობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში გერმანულმა კონცერნმა "კრაფთვერკე იუნიონ (სიმენს)" -მა დაიწყო. თუმცა ირანის რევოლუციის შემდეგ რევოლუციის მონაწილეთა მიერ აშშ-ს საელჩოს დაკავებისა და მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტზე ამერიკის მხრიდან ემბარგოს დაწესების გამო გერმანელებმა პროექტზე უარი თქვეს.

1995 წლის იანვარში "ზარუბეჟ-ტომენერგოსტროიმ" და ირანის ატომური ენერჯის ორგანიზაციამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას მშენებლობის პირველი ბლოკის დასრულების თაობაზე. რუსეთმა თავის თავზე ირანისთვის 1000-ის ტიპის ერთი რეაქტორისა და მისთვის აუცილებელი ბირთვული სანავის

მიწოდების, ასევე ირანელი სპეციალისტები მომზადების ვალდებულება აიღო. გარიგების საერთო ღირებულება ერთ მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. კიდევ 850 მილიონი აშშ დოლარი ოფიციალურმა მოსკოვმა ირანისთვის 1000 გადასაცემად დადებული კონტრაქტისთვის მიიღო.

ხელშეკრულება სადგურის მშენებლობის მთლიანად დასრულების შესახებ რუსეთის ფედერაციასა და ირანს შორის 1998 წელს გაფორმდა. პირველი ვერსიით პროექტი 1999 წელს უნდა დასრულებულიყო, თუმცა მისი ჩაბარება რამდენჯერმე გადაიდო. 2006 წელს ირანის მხრიდან ფინანსურმა პრობლემებმა ირანისათვის თუმცა ვითარება დარეგულირდა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით სადგური ექსპლუატაციაში ირანთან თარიღის შეთანხმებისთანავე შევა.



# რევიუ



AFP · 2009

ომის მიზეზით გამოწვეული ექვსწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ბაღდადის უნიკალური მუზეუმი კვლავ გაიხსნა. მუზეუმი ცნობილია უძველესი მესოპოტამიის არქიტექტურითა და სხვა სიძველეებით. ამ მუზეუმს ერაყელი ხალხი თავის სიამაყეს უწოდებს და არც თუ უსაფუძვლოდ - ის ნამდვილად ერთ-ერთი უმდიდრესია აზიის მუზეუმებს შორის. გახსნის ცერემონიაზე მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც ერთხმად აღნიშნეს, რომ ქვეყანაში განვითარებული საომარი მოქმედებების შემდეგ ერაყისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა.

## Resident Evil 5 - 5 მარტი

საკულტო თამაშის დემო ვერსია ოთხმა მილიონმა მომხმარებელმა გადმოწერა

სულ ცოტა დრო რჩება იმ დღემდე, როდესაც გეიმერები კომპანია "კაპკომის" საკულტო თამაშის, Resident Evil-ის მეხუთე ნაწილს მიიღებენ. თამაშის ოფიციალური რელიზის დღე დაახლოებით ერთ კვირაშია, იანვრის ბოლოდან კი ინტერნეტში მისი დემო ვერსიები გამოჩნდა. როგორც პროექტის პროდიუსერმა, დიუნი ტაკეუჩიმ განაცხადა, დემო უკვე ოთხმა მილიონმა მომხმარებელმა გადმოწერა, რაც უკვე ნიშნავს, რომ თამაშს დაახლოებით ამდენივე მყიდველი ეყოლება. დემო ვერსიები ასევე გამოვიდა Xbox 360-სა და PlayStation 3-ის მომხმარებლებისთვის. Resident Evil 5 5 მარტს იაპონიაში გამოვიდა, ხოლო ამერიკელი და ევროპელი გეიმერები მას ოდნავ მოგვიანებით, 13 მარტს მიიღებენ.

Resident Evil 5-მა იაპონიაში უკვე მიიღო ალტერნატიული სახელწოდება - Biohazard 5. მისი პროდიუსინგი ამჯერად თამაშის მეორე და მეოთხე ნაწილების პროდიუსერებს დაევალია, რაც უკვე ნიშნავს, რომ

თამაში საუკეთესო გამოვა. მასზე მუშაობა "კაპკომმა" 2007 წელს დაიწყო და როგორც კომპანიის წარმომადგენლები იუწყებიან, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ თამაში სრულყოფილი და თანამედროვე სტანდარტების ყოფილიყო.

Resident Evil 5-ის სიუჟეტი აფრიკაში ვითარდება (სხვათა შორის, ამ ფაქტმა აფროამერიკელების უკმაყოფილება გამოიწვია, მათ გააპროტესტეს ის ფაქტი, რომ თეთრკანიანი პერსონაჟი შავკანიანებს ზოცავს). სიუჟეტის თანახმად, კომპანია "ამბრელას" დაცემის შემდეგ მაინც არ წყდება ბიოლოგიური იარაღის შემუშავება, პირიქით ეს საქმიანობა უფრო და უფრო ვითარდება. ამ ბოროტებასთან საბრძოლველად შეიქმნება სპეცდანაყოფი BSAA, რომლის წევრიცაა თამაშის მთავარი გმირი კრის რედკლიფი (სწორედ იგია თამაში სხვა ნაწილების Resident Evil-ის, Resident Evil Code: Veronica-სა და Resident Evil: Umbrella Chronicles-ის მთავარი გმირი). რედკლიფის მთავარი სამიზ-



ნა "ამბრელას" ნანგრევებზე აღმოცენებული ახალი კორპორაცია TriCell და მისი დამაარსებელი ვინმე ალბერტ ვასკერი. ამ უკანასკნელის გეგმაში ვულკანის ამოფრქვევის გზით დედამიწაზე საშინელი ვირუსის გავრცელება შედის.

ახალი თამაშის გეიმპლეი მისი მეოთხე ნაწილის ანალოგიურია, ანუ მოთამაშე რედკლიფის მხარის უკნიდან თამაშობს. ასევე თამაში დამატებული აქვს რეალიზმის მეტი ფუნქციები. მაგალითად, თუ კრისი მზეზე დიდხანს გაჩერდება, მას ჰალუცინაციები დაეწყება. გარდა ამისა, თუ მოთამაშე დიდხანს დაჰყობს სიბნელეში, ხოლო უცებ განათებულ ადგილას მოხვდება, მას თვალები ისევე დაუბნელდება, როგორც ეს რეალურად ხდება. ასევე, თამაშში დამატებულია ახალი ტიპის მონსტრები - ზომბები გაცილებით სწრაფები არიან და სხვადასხვა სახის იარაღსაც ფლობენ. ახალ ზომბებს ინტელექტის ნიშნებიც გააჩნიათ, რაც მათთან ბრძოლას უფრო გააძნელებს.

დათო ტყეშელაშვილის ხუთშაბათი



### თუ მიზა მაგარია

თუ მიზა მაგარია, გამოდის რომ მას მტერიც ძალიან მაგარი ჰყავს, რადგან პრეზიდენტის მთავარი მტერი სწორედ სააკაშვილია და ისე ვერავინ ებრძვის სააკაშვილს, როგორც თვითონ სააკაშვილი. თუმცა სიმართლე რომ ბოლომდე ითქვას, ისიც უნდა აღვნიშნოთ რომ ამ ბრძოლაში მას ყველაზე მეტად ხელისუფლების სწორედ ის წევრები ეხმარებოდნენ, რომლებიც მხოლოდ აქედანვე საქართველოს პრეზიდენტს და მამინაც კი არ აკრიტიკებდნენ მას, როცა მიზას შეცდომებს აშკარად ხედავდნენ.

ძველ შეცდომებს რომ თავი დავანებოთ, მართლა გულწრფელად მივიჩნევს სულ ახლახანს, რამდენიმე დღის წინ, ერთი კეთილი მრჩეველი მაინც როგორ არ აღმოჩნდა სააკაშვილის მისადგომებთან, რომელიც პრეზიდენტს სულ ადვილად აუხსნიდა თუ რას ნიშნავს ესპანელებისთვის ბარსელონაში სტუმრობა მადრიდის გვერდის ავლით.

ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის, რომელიც (ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე) თითქმის მთელ კონტინენტს აკონტროლებს, ხუან ლაპორტა უფრო არასასურველი სეპარატისტია, ვიდრე ქართველებისთვის ბალაღში და კოკოითი ერთად ან ცალ-ცალკე. ესპანური მედიის რეაქციამაც არ უნდა გაგვაკვირვოს, რადგან შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საქართველოს ხელისუფლების რეაქცია ნებისმიერი სხვა ქვეყნის პრეზიდენტის დანახვისას (თბილისის გვერდის ავლით) ვთქვათ ცხინვალის სტადიონზე ბურთით ხელში. მართალია მიხეილ სააკაშვილი არა ხელით, არამედ ბურთის ფეხით აკენწვლას ცდილობდა ნოუ კამპზე, მაგრამ ეს დეტალი, საქმის არსს მაინც არ ცვლის და ეს ერთი შეხედვით უწყინარი შეცდომა, დაუფიქრებლად მაინც დავუშვით.

ალბათ სწორედ ამიტომაც მოხდა ის, რაც მხოლოდ ქართველებს შეიძლება დაემართათ - ამ ხელისუფლებამ რთული პრობლემები უფრო ადვილად მოაგვარა და მარტივი საკითხები კი ვერ გადაჭრა, რადგან ამპარტავნება ყველასთვის სამიწილი მტერია.

ახლაც მტერს სხვაგან ვეძებთ და არა საკუთარ თავში და ამ მხრივ ძალიან ვგავართ ხელისუფლებას, რომელსაც ჩვენსავით უჭირს დაშვებული შეცდომების აღიარება და შემდეგ სწორი დასკვნების გამოტანა და ამ ბოლო დროსაც ბატონი ჯუშუბერ ლეჟავა ძალიან ხშირად მახსენდება.

რასაკვირველია სხვებსაც კარგად ახსოვთ ეს საოცარი ადამიანი, რომელმაც დედამიწას ველოსიპედით შემოუარა, მაგრამ რადგანაც ქართველებს ყოველთვის გვაკლდნენ ნამდვილი მოგზაურები, შეიძლება ამიტომაც მიყვარს განსაკუთრებულად ბატონი ჯუშუბერი, თუმცა სათქმელს რომ არ ავცდე, ჯერ მთავარს მოვყვები.

ჯუშუბერ ლეჟავამ დედამიწის შემოვლას თავისი სრულიად უწყინარი ტრანსპორტით ცხრა წელი მოაწყო და მან წინასწარ (დაახლოებით მაინც) იცოდა რამდენი წელი დასჭირდებოდა სამყაროს გარშემო ველონრის გაკეთებას. ბატონმა ჯუშუბერმა ისიც იცოდა რომ ამასობაში (სანამ დედამიწას შემოუვლიდა), საქართველო ნამდვილად დამშვიდდებოდა, ადამიანები უფრო გონიერები გახდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში და ჯუშუბერ ლეჟავაც ბედნიერი დაბრუნდებოდა თავისუფალ, დემოკრატიულ და განვითარებულ სამშობლოში.

თუმცა ცხრანობიანი მოგზაურობის შემდეგ ბატონ ჯუშუბერს ისეთი საქართველო დახვდა რომ ველოსიპედიდან არც კი ჩამოსულა და გზაც გააგრძელა ისევე დედამიწის გარშემო, ოღონდ ახლა სხვა, მეორე მხრიდან...

# ჩახოვის გმირების ორმაგი სახე დისტანსიდან

სხენის სცენაზე სევდიანი თოქინები გელით!

სოფო კლასონია

ამ სპექტაკლის სანახავად კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ბევრი ალბათ იმით გამოწვევა, რომ "ერთი რამე სერიოზული" იხილოს, "რაიმე ძველებური", "რაიმე - კლასიკა", მაგრამ მართლაც იქნებოდა ისინი, რომლებიც დასხდებიან მარჯანიშვილის თეატრის სხენის სცენასთან და იტყვიან, რომ ჭოლას სპექტაკლის სანახავად მივიდნენ. თუ დასძენენ, რომ ამ სპექტაკლის რეჟისორი ლიბრეტოდ ჩხოვის ცნობილ ნაწარმოებს იყენებს, მაშინ ამ მაყურებელს გათვინობიერებულობის გამო, მაღლობა უნდა ვუთხროთ, თუ არა და ეგვიც არაფერია. ამ წარმოდგენაში ჩხოვი არც მთავარ როლშია და არც მეორეხარისხოვანში. მისი ტექსტი ლაიტმოტივია, რომლის მიხედვითაც რეჟისორი თეატრალური ფორმებით თამაშობს და ეს თამაში რიგ შემთხვევებში ძალიან კარგადაც გამოხდის.

"ქალი ძალლით", რომელსაც ლევან წულაძე მარჯანიშვილის თეატრის მცირე სცენაზე წარმოგიდგენს, ალბათ უმრავლესობა მაყურებლისთვის ერთ-ერთი საინტერესო და ერთ-ერთი ყველაზე "სასიამოვნო" დადგმა გახდება იმ სპექტაკლებს შორის, რომლებიც ამ ბოლო 2-3 წელიწადში თეატრში დაიდგა, არა მხოლოდ "სხენში", არამედ დიდ სცენაზეც და ჩვენც მათ არჩევანს დავეთანხმებით. მაყურებლის დიდ ნაწილს მოეწონა და რადგანაც სიტყვა მაყურებელზე ჩამოვარდა, უნდა ითქვას მის შესახებაც ორიოდ სიტყვა, რათა საქმის ვითარებაში უკეთ გავვერკვით. ეს არის მაყურებელი, რომელიც ლევან წულაძემ, ამ მაყურებელისთვის კი უბრალოდ ჭოლამ, "გამოზარდა". ამ მაყურებელს უკვე ასაკიც მოემატა, ეს არის მაყურებელი, რომელიც არ ითხოვს კონცეპტუალიზმს, არც პრობლემას, ის ითხოვს სანახაობას. იმას რასაც მიაჩნის. "ქალი ძალლით" კი არის სანახაობა, რომელიც რეჟისორმა ბევრი ის პრობლემა მოხსნა, რომელიც ზოგადად თანამედროვე ქართულ თეატრში გვანახვებს. მაგალითად: მსახიობების სიყალბე, მათი არაზუსტი აქცენტები როლთან მიმართებაში, მათი ცუდი მეტყველება, მათივე ვეროტიკული ნიღბები. მოიხსნა პიესასთან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებაც, მოიხსნა საეროდ დრამატურული საფუძვლის აღქმასა და გააზრებაში ხშირად დაშვებული ხარვეზების საკითხიც. და გასაგებია, როგორ მოახერხა ეს ყოველივე რეჟისორმა, მან მიმართა მათ, ვისთან ურთიერთობაც ვიცით რომ არაჩვეულებრივად გამოსდის - თოჯინებს. ჩვენ ხომ კარგად გვახსოვს წულაძის "ფაუსტი", სპექტაკლი, რომელიც დაუვინყარია ძალიან ბევრისთვის. ამას გარდა, რეჟისორმა სპექტაკლს საფუძვლად დაუდო არა ლიტერატურა, არა ტექსტთან მიახლოებული სცენარი, არამედ ჩხოვის ნაწარმოებისგან გამომდინარე-გამომცხვარი რომანტიკული ოპუსი, ძალიან ცოტა ტექსტით და ძალიან ბევრი კინემატოგრაფიული კადრითა და სცენით, რომლის მხატვრულ მხარეზეც ასევე რეჟისორმა იზრუნა. წულაძის სცენოგრაფია მთლიან



ნად განათებაზე აკეთებს აქცენტს, თუმცა სწორედ განათებაა მნიშვნელოვანი, როცა სცენაზე ადამიანებთან ურთიერთობას ნიწო ნამუჭეიშვილის თოჯინები იწყებენ.

"ქალი ძალლით" უფრო მეტად მარიონეტების სპექტაკლია, ვიდრე მსახიობებისა. მარიონეტებით თამაში კი რეჟისორს ყველა ზემოაღნიშნულ საკითხთან დისტანცირების პრობლემას უიოლებს.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სპექტაკლში სცენებს თოჯინები და ადამიანები იხანალებენ. ხანაც ეს სცენები ერთმანეთშია "შეჭრილი". სწორედ სცენების მონაცვლეობა და გადასვლები დიალოგიდან მარიონეტების სცენებზე არის ის გზა, რომელსაც ლევან წულაძე წარმატებით გადის. დადგმა რომელიც მთლიანად ფორმაზეა ორიენტირებული გვაგონებს მოკრძალებულ ევროპულ საფესტივალ პროგრამულ წარმოდგენებს, რომლებშიც ლიტერატურული სანყისი ხშირად მოტივია და ყველაზე დიდი დოზით ფორმისული ვარიაციები მოდის. ასეთ დროს სასაზღვრო ხაზის ერთ მხარეს კიჩი ჩნდება, ხოლო მეორე მხარეს - "კლასიკური პრობლემების" რემინისცენციები, იმისთვის რომ მარადიული სათქმელი დევანდელაობაში გამოახვიო, თანაც ახალი აქცენტებით. წულაძის ახალ სპექტაკლში "ქალი ძალლით" ამ გამოვლენაზე ხშირად დგას რეჟისორი, როგორც ამ თეატრალური ნამუშევრის უპირველესი ავტორი. და მისი სპექტაკლის სტილისტური თაიგული ამ ხაზზე ძლიერად

მერყეობს. ამ მერყეობის ჟამს თვალსა და ხელს შუა გვეკარგება, ან გვაგინდება სათქმელი, ამიტომაც კიჩი მძლავრობს.

ჩხოვის საზოგადოებასთან უეცრად გაუცხვებული გმირები, წესის, სტანდარტის, საზოგადოებისა და ინდივიდის ჭიდილი და მაინც, ყველაფერზე გამარჯვებული ყოფითობა - წულაძესთან ზღაპრულ მორევეში იძირება. სპექტაკლის ბოლოს გახელებული გურგოვის (ნიკა თავაძე) კვინესა-ვარამი უეცარი დრამატული კულმინაციაა შუაგულ ზღაპარში, რადგანაც მთელი წარმოდგენა არის უბრალოდ ერთმანეთში ან სხვაში შეყვარებული ადამიანების შესახებ. სასიყვარული სამკუთხედი და მათი გაორებანი თოჯინების სახით.

ფაქტია რომ ამ გაორებით წარმოდგენაში არაერთი მეტად ლამაზი სცენა და ხერხი გროვდება. მსახიობების გასვლა და მათი ორეული თოჯინების შემოსვლა, ავანსცენაზე გამოსული მსახიობისა და დისტანციაზე გამოჩენილი თოჯინის დიალოგი, თეატრში შეხვედრის სცენა, სადაც თეატრალური პირობითი ენა თავს გვანონებს, ეს სცენები და საერთოდ პერსონაჟების თოჯინებით გაორების ხერხი, სპექტაკლის ხილოვანი კიდევ რამდენიმე დიდი დიდი ინვესს და შესაბამისად დადებით განწყობას. ამ ზრაპარს კიდევ ერთი მშვენიერი თვისება აქვს, მოძრაობა და დინამიკა, რომლითაც არის სპექტაკლი შევსებული. რომ არა ანა სერვეენას (ნანკა კალატოზიშვილი) მოგონებებისა და მისი მონატრების განელილი სცენები მეორე მოქმედებაში, შევძლებ-

დით გვეთქვა, რომ ეს ზღაპარი უნაკლოდ შეკრეს და შეფუთეს. მაგრამ, როცა საქმე შეფუთვის შეეხება, ისევე იმ ხაზს უნდა დავუბრუნდეთ, რომელზეც რეჟისორის სტილური არჩევანი მერყეობს და სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებასთან წინააღმდეგობაში მოდის. მუსიკალური გაფორმება, რომელიც ვახტანგ კახიძეს ეკუთვნის, ანტონ ჩხოვის ნაწარმოებს (რომელიც წულაძის სპექტაკლში ერთ რომანტიკულ ამბად იქცა), ერთ დიდ კიჩად აქცევს. ოღონდაც ეს არ გახლავთ კიჩი - პოსტმოდერნისტიული გაგებით, სულაც არა. ამ სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება წოლადის "ხანუშასა" და "პიგმალეონის" ესტეტიკაში გვაქცევს, რაც სრული ნენსონია ჩხოვთან და თუნდაც ამ სპექტაკლთან მიმართებაში. მუსიკა ამარტივებს, ხმ რად ბანალურს ხდის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებს, ასეთ დროს, მუსიკა რეჟისორულ ჩანაფიქრთანაც მოდის წინააღმდეგობაში. როცა სენტიმენტალური ემოციების გამოწვევი თოჯინებისა და ცოცხალი გმირების უსიტყვო დიალოგები თბილისური, ყარაჩოღლური სუფრული მოტივებით იჭრება და ეს ხდება ძალიან ხშირად, შეიძლება ერთხელ გაგეცინოს, მაგრამ მათედ მიხვდები, - მეტიმეტია, ხელს მიშლის. და თუ ამას დავეუბნებთ ასევე პირველ მოქმედებაში, კონტექსტიდან ამოვარდნილ გია მარჯანიას, რომელიც სცენაზე გამოსვლებს და კინტოს გააშარყებს, მაშინ... თუ მსგავსი მოტივები სპექტაკლში იმის შიშით შემოიტანეს, რომ მაყურებელი გამოაცოცხლონ, ანდა იმით რომ მაყურებელს გაეთამაშონ, მაშინ შეიძლება თამაშად ითქვას, რომ სპექტაკლი ამ ყველაფრის გარეშეც კარგად აღიქმება და მეტიც, ბევრად კარგი იქნება, ყოველგვარი თეატრალური ფამილარულობის გარეშეც.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ლევან წულაძის "ქალი ძალლით" სხვადასხვა ფესტივალზეა მიწვეული. ამის შესახებ ალბათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე კიდევ დაიწერება, მანამდე კი თბილისელ თეატრალურ მოსახლეობას (ნანკა კალატოზიშვილი) მოგონებებისა და მისი მონატრების განელილი სცენები მეორე მოქმედებაში, შევძლებ-

# და ვინჩის ახალი სახე

## ვინ, სად და როგორ მიაკვლია ლეონარდო და ვინჩის უცნობ გამოხატულებას

ბოლო რამდენიმე დღეა, გაზეთები და ტელევიზიები ინტენსიურად აშუქებენ ლეონარდო და ვინჩის უცნობი გამოხატულების აღმოჩენის ფაქტს, რომელიც მისი ავტოპორტრეტი შეიძლება გამოდგეს. საინტერესოა ვინ, სად და როდის აღმოაჩინა ეს გასაოცარი ნახატი?



ამ პორტრეტის შესახებ პირველად ნიკოლა ბარბატელი (Nicola Barbatelli) ალაპარაკდა, რომელიც პირველი ჯვაროსნული ლაშქრობისა და ტამპლიერების ორდენის საკითხებს იკვლევდა. ძიებას ის სამხრეთ იტალიაში, რამდენიმე არისტოკრატიული ოჯახის არქივებში აწარმოებდა, აღნიშნული არქივი კი, ბაზილიკატას რეგიონის სოფელ აჩერენცაში იყო დაცული.

სწორედ აჩერენცაში აღმოაჩინა ბარბატელი დიდი ზომის (60 X 44 სმ.) ზეთში შესრულებული პორტრეტი, რომელზეც არც თუ ისე დაბრუნებული, ცისფერ-ვალეა მამაკაცი ფაფუკი წვერითა და ჭალარა ან ღია ფერის თმით არის გამოხატული. აღსანიშნავია, რომ უფიცავი ლეონარდოს ამ ნამუშევრის მსგავსი გამოსახულება ინახება, რომელიც დიდხანს მხატვრის ავტოპორტრეტად იყო მიჩნეული. თუმცა, ამ ნამუშევრის უტყუარობა მაინც ეჭვქვეშ იდგა. ახალ კი, ვარაუდობენ, რომ ეს ლეონარდო და ვინჩის პორტრეტი, რომელიც მხატვრის წრიდან გამოსული ადამიანის მიერ არის შესრულებული.

ბარბატელი ირწმუნება, რომ მის მიერ აღმოჩენილი პორტრეტი დაკავშირებულია ფლორენციულ ოჯახთან, გვარად - სენი, რომელიც XVI საუკუნეში, აჩერენცაში მინების მფლობელი იყო. ისტორიკოსების ცნობებზე დაყრდნობით, ლეონარდო ახლოს იცნობდა ამ ოჯახს და სტუმრობდა ხოლმე ლუკანიოს, თანამედროვე ბაზილიკატას. მაგრამ პორტრეტის უკანა მხარეს, ბარბატელის სიტყვებით, არის სარკისებური წარწერა "Pinxit Mea" ანუ "დახატულია ჩემს მიერ". ეს და ამასთან ის გა-

რემოებაც, რომ ნამუშევარი ესკიზის გარეშე დახატული, ანუ დაოსტატებული მხატვრის მიერ, იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ ის ლეონარდოს ეკუთვნის.

ბარბატელის გარდა, რომლის აკადემიურ რეგალიებსაც არც ერთი გამოცემა არ მიუთითებს, ეს პორტრეტი არავის უნახავს და არც გამოუკვლევია. ამ ნამუშევრის ხილვის შესაძლებლობა დამთავალიერებელ მარტის ბოლოს მიეცემა, როდესაც მას, ლეონარდოს სხვა ნამუშევრებთან ერთად, ვალო დი ბაზილიკატას, რომელის მოსახლეობაც 2 210 ადამიანს შეადგენს, პანანინა მუზეუმში - Museo delle antiche gendi di Lucania გამოფენენ.

მოსალოდნელ ექსპოზიციას მხარს "ფლორენციის ლეონარდო და ვინჩის იდეური მუზეუმიც" უჭერს. მისმა დირექტორმა - ალესანდრო ვეცოზომ ბარბატელის აღმოჩენის ცნობას კომენტარი დიდი სიფრთხილით გაუკეთა და აღნიშნა: "შესაძლოა ეს გვიანი ასლი კი არა, რენესანსის პერიოდის დედანი იყოს, მაგრამ მოდით ის სათანადოდ შევისწავლოთ".

ახლა აუცილებელია სულ ორი გადახვევა გავაკეთოთ. პირველი: ბაზილიკატა იტალიის ყველაზე ღარიბ რეგიონად არის მი-

ჩნეული და მისი ხელმძღვანელებიც, გასაგები მიზეზების გამო, აქცენტს ტურიზმზე აკეთებენ. როგორც ჩანს, ერთმა, მაგრამ ფართოდ გავრცელებულმა ცნობამ ლეონარდოსა და ლუკანიის შორის არსებულ ურთიერთობასთან დაკავშირებით, დეპრესიული კუთხის გადარჩენის საქმეს სასარგებლო სამსახური გაუწია. ყოველ შემთხვევაში, ბაზილიკატეს ტურისტების მოზღვავება გარანტირებული აქვს: ამ პორტრეტის შესახებ იტალური გაზეთები უკვე ერთი კვირაა ზუზუნებენ.

მეორე გადახვევა: ამჟამად დედნად ლეონარდოს მხოლოდ ერთი ავტოპორტრეტია მიჩნეული, რომელიც ტურინში ინახება. კიდევ არსებობს ზემოთ ნახსენები ნახატი უფიცავი, მხატვრის გამოსახულება რაფაელის მიერ შესრულებულ "ათენის სკოლაში", და ვინჩის გარდაცვალების შემდეგ ქრისტოფანო დელ ალტიმოს მიერ შექმნილი პორტრეტი, ლეონარდოს ფანქარში შესრულებული პროფილი, რომელიც, სავარაუდოდ, მისი მოსწავლის ფრანჩესკო მელცის მიერ არის დახატული. გამოდის, რომ ცნობილია სულ რამდენიმე შესაბამისად, კიდევ ერთი პორტრეტისა თუ ავტოპორტრეტის

აღმოჩენა ურიგო არ იქნებოდა.

ახლა კვლავ ბარბატელის აღმოჩენას დაფიქრებულად მარტივი ძიება ქსელში სწრაფად მიგიყვანთ გვერდამდე - Mysterious Lucania, რომელსაც უძღვება ოთხი ადამიანი - ვანი და რაფაელი ლინიები, უაკლინ ჯარვისი და ჩვენი გმირი. ინტერნეტში განთავსებული ეს გვერდი ლუკანიასა და აჩერენცას ისტორიიდან გამოუქვეყნებელ კვლევებს ეძღვნება, ძირითადად კი, ისეთებს, როგორცაა: "აჩერენცას ტაძრის წმინდა გეომეტრია" და ა.შ.

აღნიშნული საიტის ავტორები მუშაობენ ანტიკური პითაგორელების და რენესანსის - და ვინჩისა და მისი მეგობრის ლუკა პაჩოლისნაირი, ფიგურებს შორის კავშირის დადგენაზე. აღსანიშნავია, რომ ლუკა პაჩოლი იყო ავტორი პირველი ტრაქტატისა ბულალტერიაში ორამგი ჩანანერის შესახებ. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, პაჩოლი ორჯერ ახსენეს ჭადრაკის თამაშთან დაკავშირებულ ხელნაწერ სახელმძღვანელოსთან მიმართებაში. ამ ხელნაწერის ტექსტის ავტორად ბულალტერი გვევლინება, ნამუშევრები კი, შესაძლებელია, ლეონარდოს ხელით იყოს შესრულებული. Mysterious Lucania-ს ერთ-ერთ ჩანანერში პირდაპირ ნათქვამია, რომ პაჩოლიმ ოქროს კვების შესახებ პითაგორელების შრომებიდან გაიგო, რაც მან ლეონარდოს გაუზიარა, ამ უკანასკნელმა კი, დიდად გამოიყენა. ერთი სიტყვით, ეს საიტი ნამდვილი სამოთხეა შინგამორდილი კონსპიროლოგებისათვის და "და ვინჩის კოდს" მოყვარულთათვის.

ლეონარდოს ახლად აღმოჩენილ პორტრეტზე ცნობებს კიდევ არაერთხელ მოვისმენთ. მაგრამ სანამ აღმოჩენის შესახებ თავად ნიკოლა ბარბატელი არ ალაპარაკდება, უმჯობესი იქნება თუ სახსრებს ამ ნამუშევართან დაკავშირებით სიფრთხილით მოვეკიდებით, საუკეთესო შემთხვევაში კი აღვიკვამთ, როგორც ბელეტრისტიკას.



## აღიშნა

26 თებერვალი

### თეატრი

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**  
მცირე სცენა  
"PLAY ანუ სიკვდილის როკვა"  
დასაწყისი: 19.00

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**  
"პიგმალიონი"  
რეჟისორი ლევან ნულაძე  
დასაწყისი: 19.00

**თეატრი სხვენში**  
"ცხრაკლიტული"  
დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**  
"5 დღე უმუშევარი მსახიობის ცხოვრებიდან"  
დასაწყისი: 20.00

**მუსიკისა და დრამის თეატრი**  
"იყო და არა იყო რა - ანუ საშობაო ზღაპარი"  
რეჟისორი დავით დოიაშვილი  
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**  
"უჩინმარინის ქუდი"  
რეჟისორი ლევან ნულაძე  
დასაწყისი: 19.00

**თეატრი ათონელზე**  
"დარაბებს მიღმა გაზაფხულია"  
დასაწყისი: 19.00

### კინო

**"ამირანი"**  
"ქორნილის დღე"  
დასაწყისი: 18.45; 20.30; 22.15  
"ოპერაცია ვალკირია"  
დასაწყისი: 14.15; 18.15  
"იგორი"  
დასაწყისი: 12.15; 18.00  
"ვიკი, კრისტინა, ბარსელონა"  
დასაწყისი: 14.00; 16.00; 20.00; 22.00

**"რუსთაველი"**  
"იგორი"  
დასაწყისი: 12.45; 14.30; 16.15; 18.00  
"ოპერაცია ვალკირია"  
დასაწყისი: 13.00; 15.15; 17.30  
"ავსტრალია"  
დასაწყისი: 12.30; 15.30; 18.30; 21.30  
"როკენროლა"  
დასაწყისი: 13.00; 17.45; 22.00  
"ვარდისფერი პანტერა 2"  
დასაწყისი: 20.00  
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"  
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00

### გალერეა

**"N გალერეა"**  
ლევან ჭოლოშვილის პერსონალური გამოფენა  
**"ორნამენტი"**  
ტიხრული მინაქრის მუდმივი გამოფენა  
**"შარდენი"**  
ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა  
**"ვერნისაჟი"**  
"რაჭის პეიზაჟები"

# ივ სენ-ლორანის კოლექციის სამი სურათი რეკორდულ ფასად გაიყიდა

ფრანგი მხატვრის თეოდორ ჟერიკოს ნახატი, რომელიც დიზაინერ ივ სენ-ლორანის კოლექციაში ინახებოდა, Christie's აუქციონზე ამ მხატვრის ნამუშევრების კვალობაზე რეკორდულ ფასად - 8 მილიონ ევროდ (10 მილიონი დოლარი) გაიყიდა. რეკორდულ ფასად გაიყიდა ასევე ფრანგი მხატვრის ჟან ენგრის ორი ნამუშევარი. მისი სურათი 2 მილიონ ევროდ, ხოლო ფურცელზე შექმნილი ნახატი - 913 ათას ევროდ გაიყიდა. აუქციონის მეორე დღეს ივ სენ-ლორანისა და მისი კომპანიონის პიერ ბერჟეს კოლექციაში შემავალი თვრამეტი ნივთის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა - 22,2 მილიონი ევრო (28,7 მილიონი დოლარი) შეადგინა. კიდევ ექვსი ნამუშევარი, რომელიც აუქციონზე იყო წარმოდგენილი, საერთოდ არ გაყიდულა. პირველ დღეს ივ სენ-ლორანის კოლექციაში შემავალი ნივთების გაყიდვით, Christie's აუქციონის შემოსავალმა 206 მილიონი ევრო შეადგინა, რადგან პირადად შეგროვებული ყველა-



ზე ძვირფასი კოლექცია წარუდგინა საზოგადოებას, რაც კი ოდესმე აუქციონზე გაყიდულა. როგორც მოსალოდნელია, აუქციონზე წარდგენილი იქნება ასევე კურდღლისა და თავის ბრინჯაოს თავები, რომლებიც XVIII საუკუნეშია დამზადებული და

ჩინელი იმპერატორის ციანლუნიის სასახლეში იყო განთავსებული. მართალია ჩინელი იურისტები ცდილობდნენ ქანდაკებების გაყიდვა გაეპროტესტებინათ, თუმცა როგორც გარდაცვლილი ივ სენ-ლორანის მემკვიდრემ და ანდერძის ამსრულებელმა პიერ

ბერჟემ განაცხადა, ხელოვნების ნიმუშებს ჩინეთს იგი მხოლოდ ტიბეტის თავისუფლების სანაცვლოდ გადასცემს.

ივ სენ-ლორანმა და პიერ ბერჟემ ხელოვნების ნიმუშების კოლექციის შეგროვება 1950-იანი წლებიდან დაიწყეს, როცა ახალგაზრდა დიზაინერი Christian Dior-ის სამოდელო სახელში მუშაობდა. ცნობილი დიზაინერი გასული წლის ივნისში კიბოთი 71 წლის ასაკში გარდაიცვალა. პიერ ბერჟემ თავისი და ივ სენ-ლორანის კოლექციის აუქციონზე განთავსების შესახებ განცხადება ჯერ კიდევ 2008 წლის ზაფხულში - თავისი კომპანიონის გარდაცვალებიდან ცოტა ხანში გააკეთა, რადგან მან სენ-ლორანის გარეშე "საკუთარი მნიშვნელობის ძალიან დიდი ნაწილი დაკარგა".

აღსანიშნავია, რომ აუქციონზე გაყიდული ნივთებიდან შემოსული თანხით ახალი ფონდი შეიქმნება, რომელიც ფინანსურად შიდასი დაავადებულს დაეხმარება.

### აუქციონისგმა ფრენსის ბეკონის ხალიჩებს მიაგნო

იენ ბენეტი (Ian Bennet) ბრიტანული აუქციონის სახლის - Netherhampton Salerooms ექსპერტი ტექსტილის განხრით. მან ფრენსის ბეკონის მიერ 1929 წელს მოქსოვილი ორი ხალიჩა აღმოაჩინა. როგორც გაზეთი The Times იუწყება, ამ დრომდე ხელოვნებათმცოდნეებმა იცოდნენ ბეკონის მხოლოდ სამი ხალიჩის არსებობა, რომელთაგან ერთ-ერთი ლონდონის ვიქტორიასა და ალბერტს მუზეუმში ინახებდა. ბეკონის ახლად აღმოჩენილი ხალიჩები წარდგენილია Netherhampton Salerooms-ის აუქციონზე, რომელიც 12 მარტს გაიმართება. იენ ბენეტი ვარაუდობს, რომ მოლაპარაკება "ხუთნიშნა თანხებზე" შედგება.

იენ ბენეტის ხელში ხალიჩები ირანელი ხალიჩების გამყიდველის კოლექციიდან მოხვდა, რომელმაც მისი კოლექციის ნაწილი ექსპერტიზაზე Netherhampton Salerooms-ში მიიტანა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, კოლექციონერი არც ვარაუდობდა, რომ XX საუკუნის უდიდესი ბრიტანელი მხატვრის ფასეულ და უიშვიათეს ნამუშევრებს ფლობდა. ეს ხალიჩები ირანელი კოლექციონერის მალაზიში მოხუცებულმა ქალმა მიიტანა, რომელსაც ისინი დერეფანში ეგო. მოხუცებული ამ ხალიჩების "არაპრაქტიკულობაზე" წუწუნებდა და მათი თავიდან მოშორებაც ამიტომ გადაწყვიტა.

ირლანდიის პირმშო, ფრენსის ბეკონი (1909-1992 წწ.) 1929 წელს ლონდონში ცხოვრობდა და საკუთარი ძაღლები ინტერიერის დიზაინერის საქმიანობაში მოსინჯა. ხალიჩები იყო მისი დაუმთავრებელი ექსპერიმენტების ნაწილი: 1930-იანი წლების დასაწყისში მან კონცენტრაცია მთლიანად ფერწერაზე გაკეთა. ბოლო წლების განმავლობაში ის იქცა XX საუკუნის ყველაზე მოთხოვნად მხატვრად. 2001 წელს მისი ორი ტრიპტიხი 51, 7 და 82, 2 მილიონ დოლარად გაიყიდა. **"24 საათი"**

### საბალეტო დასი ერევანში გასტროლზე მიემგზავრება

2009 წლის 2-დან 6 მარტამდე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი, ნინო ანანიასვილის ხელმძღვანელობით, სომხეთში "ქართული სეზონის" პროგრამის ფარგლებში, საგასტროლოდ ერევანში მიემგზავრება.

3 და 5 მარტს ერევანის ა. სპენდიარიალის სახელობის ნაციონალური ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში საბალეტო დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ერთმოქმედებიანი ბალეტების ორი პროგრამა. 3 მარტს Green, SECHS TANZE (ირი კილიანის ქორეოგრაფია) და ქართულ მელოდიებზე შექმნილი ბალეტი "საგალობელი". 5 მარტს ჯორჯ ბალანჩინის სერენადა და ორი თანამედროვე ბალეტი - "ნამი გარდასახვამდე" და "სიზმრები იაპონიაზე". გასტროლში საბალეტო დასთან ერთად მონაწილეობას მიიღებს თეატრის ორკესტრი დავით მუქერას დირიჟორობით. ალექსეი რატმანსკის ერთმოქმედებიანი ბალეტი "სიზმრები იაპონიაზე" კი შესრულდება მარკ პეკარსკის დასარტყამი ინსტრუმენტების ანსამბლის თანხლებით (მოსკოვი). **მედიაინფო**

### თბილისში გამოფენა "იუნგ-გე" გაიხსნა

გოეთეს ინსტიტუტში ქართველი ახალგაზრდებისადმი მიძღვნილი უჩვეულო გამოფენა გაიხსნა.

რას ფიქრობენ ახალგაზრდები, რას აკეთებენ თავისუფალ დროს, რისთვის იბრძვიან ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაზე ოცნებობენ და რა გეგმები აქვთ მომავალში, - ამ თემებზე შექმნილი გერმანული გამოფენის "იუნგ-გე"-ს მაგალითზე, რომელიც 2009 წლის იანვარში გოეთეს ინსტიტუტში იქნა წარმოდგენილი, ქართველმა მოსწავლეებმა და სტუდენტებმა დაამზადეს გამოფენა ქართველი თანატოლების შესახებ. "იუნგ-გე" კრეატიულად და უჩვეულო ფორმით გვანჯდის ინფორმაციას ქართველი თინეიჯერების შესახებ. გამოფენა შედგება სამი გაჩერებისაგან: 12 მუსიკალური დისკის ფორმის ფირფიტის, ვიდეოკლიპისა და დიალოგისაგან.

12 უზარმაზარი ფირფიტა წარმოგვიდგენს ახალგაზრდების დამოკიდებულებას თავისუფალი დროის, გრძნობების, ცხოვრების სტილის, მიგრაციის, განათლების, ენის, მუსიკისა და პრობლემების მიმართ. ვიდეო-გაჩერებაზე შეგიძლიათ იხილოთ მოსწავლეების მიერ გადაღებული ვიდეო კლიპი მეგობრობაზე. დიალოგი გაჩერება კი წარმოგვიდგენს ქართველი მოსწავლეების საყვარელ საგნებს. გამოფენის მონაწილე ახალგაზრდები და სტუდენტები კლუბ "მუსიკის სახლში" გამართულ იუნგ-გე. ფართის შუერთდნენ, სადაც ქართველმა და გერმანელმა მუსიკოსებმა გაერმანული და ქართული ცოცხალი მუსიკა შესთავაზეს მათ. საღამო პრიზებითა და დისკოთეკით დასრულდა. **მედიაინფო**

### უნივერსიტეტში რუსული აგრესიის ამსახველი ფოტოგამოფენა მოეწყო

საქართველოს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო ინივერსიტეტში ღონისძიება გაიმართა. თსუ-ს პირველი კორპუსის ფოიეში რუსული აგრესიის ამსახველი ფოტო გამოფენა მოეწყო.

ამ დღესთან დაკავშირებით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები დიდიდან შეიკრიბნენ, რომელთაც მოგვიანებით პოლიტიკოსები და საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებებიც შეურთდნენ.

გამოფენის პარალელურად უნივერსიტეტში კონფერენციაც მოეწყო, სახელწოდებით "1921 წლის 25 თებერვალი - ისტორია, გაკვეთილები, შედეგები". თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლების განცხადებით 25 თებერვალი არის დღე, რომელიც ახალმა თაობამ არასოდეს არ უნდა დაივიწყოს. "მთავარი იდეა ამ ღონისძიებებისა არის ის, რომ უნდა გვახსოვდეს 25 თებერვალი. სამწუხაროდ, 25 თებერვალი არ არის მხოლოდ ისტორიის კუთვნილება და ის გრძელდება დღესაც", - აღნიშნა თსუ-ს რექტორმა გია ხუბუამ. **მედიაინფო**

# Faith No More ბრუნდება

## მაიკ პეტონი "ადრენალინის" მეორე ნაწილისთვის საუნდტრეკს წერს

ი ა ჯ ე კ ა

ამ დღეებში 90-იანი წლების საკულტო ჯგუფის, Faith No More-ს თაყვანისმცემლებმა სენსაციური ინფორმაცია შეიკვყვეს - ჯგუფის წევრები კვლავ შეიკრიბებიან და ევროპის რამდენიმე ქალაქში კონცერტებს გამართავენ. ასევე დაგეგმილია მონაწილეობა რამდენიმე როკ ფესტივალზეც. ამის შესახებ უკვე ოფიციალურად განაცხადა ჯგუფის ფრონტმენის, მაიკ პეტონის წარმომადგენელმა.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფი 1998 წლის ალბომ Album of the Year-ის გამოსვლის შემდეგ ოფიციალურად აღარ არსებობს, ხოლო მისი წევრები დამოუკიდებლად განაგრძობენ მოღვაწეობას. ამ მხრივ ცხადია ყველაზე მეტი წარმატება მაიკ პეტონს აქვს, რომელიც უკვე ათი წელია რამდენიმე მეტად საინტერესო სოლო პროექტს ახორციელებს.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, კონკრეტულად რა შემადგენლობით შეიკრიბება ჯგუფი და არც ისაა დადგენილი, რომელ რიცხვებშია დაგეგმილი კონცერტები, თუმცა არსებობს ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ Faith No More აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას გაზაფხულზე დაგეგმილ Coachella-ს როკ ფესტივალზე. სხვათა შორის რამდენიმე კვირის წინ ამ ფესტივალში მონაწილეობასთან დაკავშირებით ინფორმაცია მაიკ პეტონმა თავად უარყო, თუმცა როგორც ხედავთ, მისი და შესაბამისად ჯგუფის გეგმებიც შეიცვალა. მისივე განცხადებით, ძველ მეგობრებს არც იმაზე უმსჯელიათ, აპირებენ თუ არა სტუდიო-



რი ალბომის ჩანერას, მაგრამ ჯგუფის შეკრება ამის იმედსაც იძლევა.

პარალელურად ცნობილი გახდა, რომ მაიკ პეტონი კინო მუსიკას წერს. მან მუშაობა დაიწყო ცნობილი მძაფრსიუჟეტიანი ფილმის, "ადრენალინის" მეორე ნაწილზე "ადრენალინი: მაღალი ძაბვა". შეგახსენებთ, რომ ამ ფილმში მთავარ როლს ჯეისონ სტეიტჰემი თამაშობს, სწორედ ის მსახიობი, რომელმაც სახელი გაიჩინა ფილმებით გაითქვა, ახლა კი გელა ბაბლუანი "13-ში" იღებს. ფილმის პრემიერა მიმდინარე წლის აპრილშია დაგეგმილი, ამიტომ პეტონს დიდი ჯაფა მოუწევს, რათა მუსიკის შექმნა დროზე დაასრულოს.

ამის გამო მაიკ პეტონმა სხვა ყველა პროექტი დროებით გადადო და მთლიანად საუნდტრეკის შექმნაზე გადავიდა. როგორც მუსიკოსი იუწყება, მას უკვე აქვს მონახაზი და კვირის ბოლოს საკუთარ სტუდია Ipecac Recordings-ში დაიწყებს მუშაობას. "ვნახე ახალი ფილმის რამდენიმე ეპიზოდი, ვესაუბრე რეჟისორებსაც და განვიხილეთ, თუ როგორი უნდა იყოს მუსიკა მოუხდებამათ ნამუშევარს. ვფიქრობ, მაყურებელი ფილმის ყურებისას ჩემი მუსიკითაც ისიამოვნებს", - განაცხადა პეტონმა.

ამერიკელი მუსიკოსისთვის "ადრენალინი: მაღალი ძაბვა" პირველი ფილმი არაა, რომლისთვისაც მუსიკის წერა უწევს.

2008 წელს გამოვიდა დერიკ სოკერას ფილმი "იდეალური ადგილი", რომლის მუსიკაც მთლიანად პეტონმა დაწერა. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი კინოპროექტი მას 2007 წელს ჰქონდა - ფანტასტიკური ჟანრის "მე, ლევინა" უილ სმიტით მთავარ როლში. მისი როლი კი ფილმში მეტად მნიშვნელოვანი იყო - მან მონსტრები, ზომბებზე დატყეული ადამიანები და გარეული ცხოველები გაახმოვანა. მაიკ პეტონს მეტად საინტერესო და უნიკალური ხმის აპარატი აქვს და შეუძლია ნებისმიერი არსება თუ ნივთი გაახმოვანოს. სწორედ ასეთი სამუშაო ჰქონდა ვიდეოთამაშ "პორტალიც", სადაც ახმოვანებდა არა მხოლოდ ლაზერულ იარაღებს, არამედ კარისა და ლიფტის მოძრაობასაც. დაახლოებით იგივე, თუმცა გაცილებით შემოქმედებითი იყო მისი მონაწილეობა კიდევ ერთ თამაშ The Darkness-ში, სადაც ბნელი ძალის გახმოვანება მოუწია.

მაიკ პეტონს სამსახიობო გამოცდილებაც აქვს. 2005 წელს იგი მისტიკურ დრამა Firecracker-ში მთავარ როლს ასრულებს, რასაც ჩინებულად გაართვა თავი. წარმოიდგინეთ ყველაზე ცინიკური, ამაზრზენი, სასტიკი და საშიში ადამიანი - სწორედ ასეთია პეტონის ფრენკი.

რაც შეეხება ახალ ფილმს, მას კვლავ პირველი ნაწილის რეჟისორები მარკ ნეველდინი და ბრაიან ტეილორი იღებენ. პირველი "ადრენალინი" 2006 წელს გამოვიდა და მძაფრსიუჟეტიანი ჟანრის მოყვარულებში იდგი მონიჭებდა დაიმსახურა. იმედია, ფილმის გაგრძელებაც ასეთივე იქნება - მით უმეტეს, რომ მასში მაიკ პეტონის მუსიკას მოვისმენთ.

# "ოქროს ღოზი" ორი ხელოვანისთვის

## იოკო ონო ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს მხატვრად აღიარეს



კუთარი ენის შემქმნელად არის მიჩნეული.

უკვე ცნობილია ასევე ვენეციაში კინემატოგრაფიულ ჩვენებაში კარიერული მიღწევისთვის "ოქროს ღოზის" მფლობელები, რომელთა შორისაა ამერიკელი რეჟისორ-მულტიპლიკატორი, სცენარისტი და პროდიუსერი ჯონ ლასეტერი, რომე-

ლიც სტუდია "უოლტ დისნეის" გაპოპულარობაზე მუშაობდა და მონაწილეობას იღებდა ისეთი ცნობილი კულტურული ფილმების შექმნაში, როგორებიცაა: "სათამაშობის ისტორია" (მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 1995 წელს მიღებული აქვს პრემია "ოსკარი"), "ფლიკის თავგადასავალი" (იგივე "ხოჭოების ცხოვ-

რება", 1998), "სათამაშობის ისტორია-2" (1999) და "ურიკები" (2006). ამ ფილმების უმრავლესობის სცენარიც სწორედ მისი დაწერილია. ლასეტერის დიდი პროდიუსერული წვლილი მიუძღვის ასევე ანიმაციური ფილმების: "ნემოს ძიებაში" (2003), "რატატუი" (2007) და "ვოლტი"-ს (2008) რეალიზაციაში.

ბენეციური ბიენალე 1895 წლიდან არსებობს, როგორც ავანგარდული ხელოვნების გამოფენა და ახალი მხატვრული ტენდენციების წინსვლისა და ახალი სახელების გამოქვეყნების მიზნითაა შექმნილი. უფრო კონკრეტულად, იგი ყოველწლიური ხელოვნების: არქიტექტურის, მუსიკის, ცეკვების, კინოსა და თეატრის ჩვენებებს შეიცავს. წელს ბიენალეს უკანასკნელი დღეების ფარგლებში 40-ე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გაიმართება, რომელიც 8 მარტამდე გაგრძელდება. გარდა ამისა, ხელოვნების ბიენალეს ორგანიზატორებს მისი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქვთ რომში, ბერლინში, პარიზში, ლონდონსა და ნიუ-იორკში გამართონ წარმოდგენები.

# სპორტი

## "თავისუფლებს" ორ კვირით ბორჯომი გამოუნარეს

ახლახან საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გადახალისებულმა ნაკრებმა კიევის საერთაშორისო ტურნირზე სამი მედალი მოიპოვა. "თავისუფლებს" უკვე შინ არიან და ბორჯომის გზასაც დაადგენ. აპრილის დასაწყისში ვილნიუსი ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. ამისთვის კი სათანადო მომზადება საჭირო.

"კიევიში, ტრადიციულად, ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. მართალია ვითხრათ, დიდ შედეგებს არ ველოდი. უკრაინაში წასვლამდეც ვთქვი, რომ შედეგებზე მეტად ის მაინტერესებდა, ბიჭებს საერთაშორისო გამოცდილება მიეღოთ. კიევიში, ფაქტობრივად, პირდაპირ საერთო ფიზიკური მომზადების ვარჯიშებიდან მოგვიხდა ხალიჩაზე გასვლა. ასეთ დროს წარმატებაზე ფიქრი ძალზე ძნელია. ერთკვირიანი შუალედიც რომ გვექონოდა, გაცილებით უკეთ გამოვიდოდით. სულ სამი მედალი მოვიპოვეთ - ვერცხლი და ორი ბრინჯაო. შეცდომების გამოსასწორებლად დრო გვაქვს," - ამბობს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე.

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონის რევაზ მინდორაშვილის გარეშე იასპარეზებს. ვილნიუსში წასაყვანი შემადგენლობის დასახელებას კი მწვრთნელი არ ჩქარობს. "მინდორაშვილს მცირე



მინდორაშვილი ტრავმის გამო ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს

ტრავმა აწუხებს და მის პირად მწვრთნელთან, მარლენ ოსიყ-მაშვილთან ერთად გადავწყვიტე, არ დავეტვირთოთ. შვიდეულის შესარჩევად წინ კიდევ ორი შეკრება გვაქვს. წონის ლიდერები ის მოჭიდავეები არიან, რომლებმაც საქართვე-

ლოს ჩემპიონატზე იმარჯვეს. ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრის ყველაზე დიდი შანსიც მათ აქვთ. თუმცა, ჯობს მოვლენებს არ გავუსწროთ. ევროპის ჩემპიონატამდე შესაძლოა კიდევ რაღაც შეიცვალოს".

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები დღეს ბორჯომში გაემგზავრა, სადაც ორკვირიან შეკრებას გაივლის. შემდეგ ნაკრებს ერთკვირიანი დასვენება ექნება, რასაც დასკვნითი შეკრება მოჰყვება ისევ ბორჯომში.

## ჭარისკაცი კიბონოთი

თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიაზე მდებარე საქართველოს გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სპორტულ კლუბ "ორბში", სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი ორგანიზებით, ძიუდოში საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი პირად-გუნდური ტურნირი გაიმართა.

ტატამზე შეიარაღებულ ძალებში მომსახურე 170-ზე მეტი სამხედრო გავიდა. ჩემპიონატი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესებით ჩატარდა და გამარჯვებულები შვიდ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. გათამაშდა გუნდური გარდამავალი თასიც, რომელიც ვაშლიჯვრის სპეცდანიშნულების ბატალიონმა მოიპოვა.

ტურნირის გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ნიკარაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენ-



ტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური და ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელები.

"ტურნირი სპორტის დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი პროექტია, რომელიც მომავალში ტრადიციულ სახეს მიიღებს. ვფიქრობ, ძალიან კარგ წამოწყებას ჩავუყარეთ საფუძველი. გენერალურმა შტაბმა უკვე დამტკიცა სპორტულ ღონისძიებათა

კალენდარი და, როგორც ხედავთ, თავდაცვის სამინისტრომ ძიუდოს მაღალი რანგის ტურნირი ჩაატარა, - გვითხრა დავით ნამგალაურმა, - ჩვენი მხრივ, სამინისტროს საჩუქრად გადავეცით ორი ტატამი, ჯარისკაცებს კი - კიმონოები. იმედია, გაისად უფრო მაღალი დონის ასპარეზობას ვიხილავთ, თუმცა ამ ტურნირზეც არაჩვეულებრივი ორთაბრძოლების მოწმენი გავხ-

დით. მსგავსი პროექტი ახლახან კრიევიც განვახორციელეთ. გვინდა მსგავსი ასპარეზობები სპორტის სხვა სახეობებშიც ჩატარდეს.

მართალია, ქართველი სამხედროები აქტიური ცხოვრებით ცხოვრობენ, მაგრამ ასეთი ტიპის სპორტული აქტივობა მათ აუცილებლად ნაადგებათ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ აქტიურად დაუჭერთ მხარს თავდაცვის სამინისტროს ეგიდით გამართულ სხვა სპორტულ ღონისძიებებსაც".

"მსფლიოს ყველა ქვეყანა, ვისაც ძლიერი ჯარი ჰყავს, ჯარში სპორტის სახეობების გავნითარებას ცდილობს. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მიმდინარე ტურნირს ძიუდოში. ამასთან, როგორც ვხედავთ, სამხედროებში ძიუდოს ცოდნის დონე საკმაოდ მაღალია. დარწმუნებული ვარ, ამ ტურნირის გამარჯვებულებს საერთაშორისო დონის ანალოგიურ ტურნირებშიც ექნებათ წარმატებები", - ეს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ნიკარაშვილის განცხადებაა.

### 3 ოქრო და 1 ვერცხლი

საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ნაკრებმა პოლონეთის ქალაქ კოვარში 20-22 თებერვალს გამართულ ამავე ქვეყნის ღია ჩემპიონატზე ბრწყინვალედ იასპარეზა. ქართულმა კარატემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა საკუთარი შესაძლებლობები და ამ სახეობაში პოპულარული პრიზი - "პოლონეთის თასი" საქართველოში ჩამოიტანა.

პოლონეთის ღია ჩემპიონატი ევროპული კარატეს სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემპიონატია, რომელიც ქალაქ კოვარის მერის პატრონაჟით ტარდება (შეჯიბრებას ქალაქის თავი ესწრებოდა და თანამემამულეებს მხურვალედ გულშემატკივრობდა).

"საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის დეპარტამენტისა და საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის ერთობლივი, სწორი მუშაობის წყალობით ჩვენ სპორტული შედეგების ახალ დონეზე ავედით. პირადად მე კმაყოფილი ვარ ჩემი შეგირდების გამოსვლით. მაღლობას ვუხდით ასეთი წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობისთვის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ გია ნაცვლიშვილს, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ნამგალაურსა და "ტაოპრი-ვატხანკს", რომლებიც დიდი ხანია ქართულ კარატეს აფინანსებენ. მათი დახმარებით მსოფლიოსა და ევროპის არაერთ ჩემპიონატზე მოხვდით და ქართველმა კარატისტებმა ყოველთვის გამოიჩინეს თავი. საქართველოს კარატეს ნაკრები ტურნირზე ისევ მცირე შემადგენლობით წარდგა, მაგრამ მაინც დიდი წარმატება გვეგრო - პოლონეთის თასთან ერთად, ახალგაზრდებში 3 ოქრო, ვეტერანებში კი 1 ვერცხლის მედალი მოვუტანეთ საქართველოს. ჩვენ თვით მასპინძელი ქვეყანა დავამარცხეთ თასისთვის ბრძოლაში და ამით კიდევ უფრო ავიმაღლეთ ავტორიტეტი ევროპული კარატეს დიდ ოჯახში, რაც ძალიან საამაყოა. რა თქმა უნდა, ეს გამარჯვება საქართველოს მიუძღვნენ", - განაცხადა პოლონეთიდან დაბრუნებულმა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ.

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი, საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტი**

### ამისულაშვილი "სპარტაკში" ზაფხულამდე ითამაშებს

ნალჩიკის "სპარტაკის" მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი, სულ მცირე, ზაფხულამდე ახლანდელ კლუბში დარჩება. ნალჩიკელებმა უარი თქვეს 27 წლის ქართველი ფეხბურთელის გაშვებაზე, რომელიც "სპარტაკის" დაცვითი ხაზის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება. "ამისულაშვილს მოველაპარაკეთ, რომ თუ მისი ყიდვის მსურველები ყველა მხარისთვის მისაღები წინადადებით მოგვმართავენ, ტრანსფერს ხელს არ შევუშლით. ქართველ ფეხბურთელს მსურველი წამდგვიდა ეყოლება, თუ ის პროგრესირებას გააგრძელებს და იმ დონის თამაშს აჩვენებს, რომლითაც თავის დროზე კიევის "დინამო" დაინტერესა", - ამბობს ნალჩიკელთა მთავარი მწვრთნელი იური კრასნოჟანი.

### ქართველთა "რუბინმა" ნორვეგიელებს აჭობა

შეკრებაზე მყოფმა ყაზანის "რუბინმა", რომლის ღირსებას სამი ქართველი ფეხბურთელი იცავს, საკონტროლო მატჩი ნორვეგიულ "ვალენგასთან" გამართა და 3:1 გაიმარჯვა. ყაზანელთა რიგებში დავით კვიციანი და ლაშა სალუქვაძემ შეუცვლელად ითამაშეს, ნუკრი რევიშვილი კი მინდორზე არ გამოჩნდა. "რუბინმა" პირველი ტაიმი 0:1 წააგო, შესვენების შემდეგ კი ორეზოვმა, კარადენიზმა და რიზანცევმა გამოიჩინეს თავი.

### მანკუნიანელთა რეკორდი

მილანში "ინტერთან" ნათამაშები უგოლო ყაიმის წყალობით, ინგლისურმა "მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონთა ლიგაში ნაუგებელი მატჩების მხრივ რეკორდი დაამყარა. გასული სეზონიდან მოყოლებული, სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი ლიგაში უკვე 20 მატჩია არ დამარცხებულა. ბოლოს "მანჩესტერმა" 2007 წლის აპრილში "მილანთან" 0:3 წააგო.

### მელოს "ლიონში" ინვევინ

საფრანგეთის ჩემპიონი "ლიონი" ამა წლის ზაფხულში ფლორენციის "ფიორენტინადან" ბრაზილიელი ფეხბურთელის ფელიპე მელოს გადაბირებას შეეცდებოდა. მელო "ფიორენტინაში" 2008 წლის ზაფხულში ესპანეთის პრიმერა დივიზიონის კლუბ "ალმერიადან" 8 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა და, იტალიური გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრების გარდა, სერია A-ში კარგი თამაშის წყალობით, ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში მინვევაც მიიღო. აქამდე სამბურთაშერიკელის მიმართ ინტერესს იჩენდნენ ლონდონის "არსენალი" და ტურინის "იუვენტუსი", რომელთა რიგებს ფრანგული კლუბიც შეემატა. 25 წლის ნახევარმცველის სავარაუდო სატრანსფერო ფასი 20 მილიონი ევროა.

### შუმახერმა პოდოლსკის "ნაწილი" იყიდა

ფორმულა 1-ში შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა 875-ევროიანი წვლილი შეიტანა მის საყვარელ კლუბ "კიოლნში" გერმანიის ნაკრების 23 წლის თავდამსხმელ ლუკას პოდოლსკის დასაბრუნებლად. მოგვსენებათ, "თხები" თავიანთ უძღებ შვილს მიუხეხინს "ბაიერნიდან" 10 მილიონი ევროს საფასურად იბრუნებენ. ოლონდ ეს თანხა ჯერ მთლიანად შეგროვებული არ არის და კლუბი დანაკლისის შესავსებად სხვადასხვა საშუალებას მიმართავს. ასე, მაგალითად, "კიოლნის" ნებისმიერ ქომაცე შეუძლია ვებგვერდ <http://www.pixel.fc-koeln.de-ზე/> შევიდეს და პოდოლსკის 40-ათასპიქსელიანი პორტრეტის პიქსელები შეიძინოს. გადახდილი თანხა უმაღლეს პოდოლსკის ყულაბაში ჩაირიცხება. ცნობისთვის: ერთი პიქსელის ღირებულება 25 ევროა.

### ასაუერი "შალკეზე" განაწყენდა

გელზენკირხენის "შალკეს" ყოფილი მენეჯერმა რუდი ასაუერმა განაცხადა, რომ აღარ დაეხსრება თავისი საყვარელი გუნდის თამაშს. "მე ფეხბურთის ნახვა მინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე მისხალი იმედიც აღარ მაქვს, რომ "ფელტინს არენაზე" მისული კარგ ფეხბურთს ვნახავ. მორჩა, ჩემთვის "შალკეს" თემა დახურულია", - თქვა მან. "კლუბი საშინლად ჩავარდა როგორც მინდორზე, ისე მენეჯმენტის თვალსაზრისით. ვმომოხ, რომ ვარდნა გაგრძელდება. "შალკეს" შეიძლება ფინანსური პრობლემებიც შეექმნეს, რადგან არსებობს საფრთხე, რომ ისინი ვერც ჩემპიონთა ლიგაში მოხვდებიან და ვერც უეფას თასზე", - აღნიშნა ასაუერმა, რომლის მენეჯრობისას, 1997 წელს, გელზენკირხენულმა კლუბმა უეფას თასი მოიგო.

### დივაცი ფუნქციონერი გახდა

ლეგენდარული სერბი კალათბურთელი, 41 წლის ვლადე დივაცი, რომელმაც იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში ორჯერ იმარჯვა მსოფლიო პირველობაზე და ამდენჯერვე ითამაშა ოლიმპიადების ფინალებში, დღეს თავისი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად აირჩიეს. იქაური პრესის ინფორმაციით, 82 დღეღვატიდან დივაციის სასარგებლოდ ხმა მისცა 76-მა. კენჭისყრაში ლეგენდარული კალათბურთელის მეტოქე იყო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ან უკვე ყოფილი ხელმძღვანელი ივან ჩურკოვიჩი.

### გურკუფის გარეშე

დღეს "ბორდოს" უეფას თასზე "გალათასარაისთან" გუნდის ლიდერის იოან გურკუფის გარეშე მოუწევს მატჩის გამართვა. ამის მიზეზად გუნდის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელის გადაღლა დაასახელა. "ის ჩვენი ნამყვანი ფეხბურთელია. ასე რომ, ნებისმიერ მატჩში მას ყველაზე დიდი ჯაფა ადგება. "ბორდოს" გარდა, მას საფრანგეთის ნაკრებშიც უწევს ასპარეზობა, რაც იოანს თითქმის არ აძლევს დასვენების საშუალებას. გურკუფი ძალიან გადაიღალა და იძულებული ვართ, სტამბულში მის გარეშე ვითამაშოთ. თუმცა, მარტო ის კი არა, ძირითადის კიდევ ხუთი ფეხბურთელი რომ გვაკლდეს, "გალათასარაისთან" მაინც მხოლოდ მოგებისთვის ვითამაშებთ", - ამბობს "ბორდოს" თავკაცი ლორან ბლანი. სამაგიეროდ, უირონდელთა შემადგენლობაში ბრუნდება მისი კაპიტანი ულრიშ რამე. ვეტერანმა მეკარემ სრულად მოიშუშა მუხლის ტრავმა და სათამაშოდ მზადაა. გურკუფი "ბორდოში" გასულ ზაფხულს "მილანიდან" საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე გადავიდა. საფრანგეთის მიმდინარე ჩემპიონატში ჩატარებულ 21 შეხვედრაში 6 გოლი და ათზე მეტი შედეგიანი გადაცემა მიითვალა. ქვეყნის პირველი ნაკრების შემადგენლობაში მან 6 მატჩი გამართა და გასულ წელს, რუმინეთთან დაპირისპირებაში, სადებიუტო გოლიც გაიტანა. რაც შეეხება რამეს, ის 1997 წლიდან იცავს ჟირონდელთა ღირსებას. ამ ხნის მანძილზე მან 367 შეხვედრა გამართა, საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ფორმა კი 12 მატჩში მოიგო. "ბორდოსა" და "გალათასარაის" პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩი უგოლო ფრით - 0:0 დასრულდა.

# "დინამოს" ჩარნობოროული სამქულიანი

## საჩემპიონო რბოლა დაიძაბა

### მინილ აბიჯილი

წესით, 25 თებერვალს ჩვენს საფეხბურთო საკლუბო ცხოვრებაში ბევრი არაფერი უნდა მომხდარიყო. თავდაპირველად ეს დღე საფეხბურთო კალენდარში საერთოდ არ იყო შეტანილი. თუმცა, სწორედ გუშინ განვითარდა ის მოვლენები, რამაც, შესაძლოა, დიდი გავლენა მოახდინოს არა მხოლოდ საქართველოს ჩემპიონის გამოვლენაზე, არამედ იმის გარკვევაზეც, თუ აუტსაიდერთაგან ვინ შეინარჩუნებს ადგილს უმაღლეს ლიგაში. დეკემბერში, დიდთოვლობის გამო, ორი კალენდარული მატჩი გადაიდო - "დინამო" - "ზესტაფონი" და "ბორჯომი" - "სპარტაკი". საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გადაწყვეტილებით, ეს მატჩები გუშინ გამართა და საინტერესო შედეგებიც დაფიქსირდა.

ჯერ საჩემპიონო რბოლაზე მოგახსენებთ. თბილისის "დინამო" მისთვის არცთუ ჩვეულ პოზიციაშია - წინ გაჭრილ "ვიტ ჯორჯიას" გუშინდლამდე 6 ქულით ჩამორჩებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონი გადადებულ მატჩში ქულებს დაკარგავდა, საქმეს გაირთულებდა და ტიტულის დაცვის მცირე შანსი დარჩებოდა. არც მეტოქე ჰყავდა ხელნაშობსაკრავი: საქართველოს თასის მფლობელი და წინა სეზონის ბრინჯაოს პრიზიორი "ზესტაფონი". ეს გუნდი, რომელიც ზედიზედ ოთხჯერ გავიდა საქართველოს თასის ფინალში, წელს ნაადრევად გამოეთიშა ამ ტურნირს და მთელი ყურადღება ეროვნულ ჩემპიონატზე აქვს გადატანილი. თან, ბოლო ოთხი წლის შედეგების მიხედვით, "ზესტაფონი" "დინამოსთვის" ყველაზე უხერხულ მეტოქედ იქცა. თუმცა, არა ამ სეზონში: მართალია, ამ გუნდების პირველი შეხვედრა 2008 წლის სექტემბერში "ზესტაფონის" გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ მას შემდეგ "დინამომ" ფეროვლები ჯერ სუპერთასის ფინალში დაამარცხა, მერე საქართველოს თასის მეოთხედფინალიდანაც გამოეთიშა და წარმატებათა ეს სერია გუშინ მოპოვებული გამარჯვებით დაავიკრავინა.



"დინამომ" სპასოვეიჩის დუბლით გაიმარჯვა

რაც მთავარია, გამარჯვება მხოლოდ სტატისტიკაში, ანუ მეტ გატანილ გოლში არ ასახულა. მატჩიდან მატჩამდე რაინერ ცობელის "დინამო" 2-დანაც არის გადმოყვანილი და წინაყინვალე შთაბეჭდილებას ტოვებს. გუშინ, მაგალითად, ძირითად შემადგენლობაში ითამაშა 18 წლის ამპლუთი მცველმა ლევან კაკუბავამ, რომელსაც ახალგაზრდული ასაკი და გამოცდილების დეფიციტი არ დასტყობია. ამკარაა, რომ "დინამოს" გერმანულ დამრიგებელს პროფესიონალიზმი ნამდვილად არ დაეწუნება, რაც მის მიერ განხორციელებულ შეცვლებშიც ნათ-

შეცვლაზე შედიან მოედანზე და წვლილი შეაქვთ საერთო წარმატებაში. რამდენიმე ფეხბურთელი "დინამო" 2-დანაც არის გადმოყვანილი და წინაყინვალე შთაბეჭდილებას ტოვებს. გუშინ, მაგალითად, ძირითად შემადგენლობაში ითამაშა 18 წლის ამპლუთი მცველმა ლევან კაკუბავამ, რომელსაც ახალგაზრდული ასაკი და გამოცდილების დეფიციტი არ დასტყობია. ამკარაა, რომ "დინამოს" გერმანულ დამრიგებელს პროფესიონალიზმი ნამდვილად არ დაეწუნება, რაც მის მიერ განხორციელებულ შეცვლებშიც ნათ-

ლად გამოჩნდა. ფეხბურთში არის ფრთხილი ფრაზა: "მწვრთნელის კლასი მეორე ტაიმში ჩანს". თუ ამ გამოჩნტვამით ვიმსჯელებთ, გუშინდელი მატჩი პირადად ცოტელმა მოიგო.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ, რომელშიც დინამოელები უფრო ახლოს იყვნენ მიზანთან, გერმანელმა შეხვედრის მეორე ნახევრის დასაწყისშივე ჩართო თამაშში ჩერნოგორიელი ლეგიონერი ილია სპასოვეიჩი, რომელმაც გადაწყვიტა კიდევ გამარჯვებულის ბედი. ჩერნოგორიის ახალგაზრდული ნაკრების ამ თავდამსხმელმა ჯერ დამატებაზე დაასწრო ყველას და ანგარიში გახსნა, ხოლო მატჩის მიწურულს, კერძოდ 82-ე წუთზე, "საკონტროლო გასროლა" განახორციელა: მარცხენა ფლანგიდან ზესტაფონელთა საჯარიმოში შეჭრილმა ძლიერი დარტყმით სამი ქულა გაუფორმა თავის გუნდს. ამ გამარჯვების შემდეგ "დინამომ" ვიტ ჯორჯიასთან ქულათა ჩამორჩენა სამამდე შეამცირა და საჩემპიონო რბოლაზე თავიდან იწყება.

ზედიზედ მეორე სიურპრიზი შემოგვთავაზა ცოტა ხნის წინ უიმედო აუტსაიდერად მიჩნეულმა ცხინვალის "სპარტაკმა". წინა ტურში ცხინვალელებმა თვით "ოლიმპს" დააკარგინეს ქულები, როცა ფრედ - 1:1 ითამაშეს. "სპარტაკს" კიდევ უფრო გაეხსნა მადა და სტუმრად გამარჯვებაც კი შეძლო. 1:3 - ასეთი გახლავთ "ბორჯომი" - "სპარტაკის" გუშინდელი მატჩის საბოლოო შედეგი. ცხინვალელებმა ამ წარმატების წყალობით მიმდინარე ჩემპიონატში პირველად დატოვეს სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხური. თუ ასე გააგრძელდა, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება მათთვის მიუღწეველი ოცნება აღარ იქნება.

ვიტ ჯორჯია	.18	12	5	1	31	11	41
დინამო	.....18	12	2	4	39	14	38
ზესტაფონი	....18	10	3	5	20	12	33
ოლიმპი	.....18	8	8	2	22	11	32
სიონი	.....18	7	7	4	21	15	28
ლოკომოტივი	18	8	2	8	23	19	26
მგლები	.....18	5	4	9	16	23	19
მესხეთი	.....18	4	6	8	12	24	18
გაგრა	.....19	4	4	11	14	32	16
სპარტაკი	.....17	3	3	12	16	30	12
ბორჯომი	.....19	2	6	11	16	39	12

# მანუ "ბკ კიევის" ლიდერად ყალიბდება



"მანუ" გერმანელები არ დაინდო

უკრაინული საკალათბურთო კლუბი "ბკ კიევი" აგრძელებს ასპარეზობას ფიბას ევროჩემპიონატის გათამაშებაში. სულ ცოტა ხნის წინ "ბკ კიევის" მესვეურებმა გუნდიდან ექვსი ლეგიონერი გაუშვეს. თითქოს ამის შემდეგ კიეველთა წარმატებული სელა უნდა შეჩერებულიყო. ახლა უკრაინულ გუნდში ფაქტობრივად ერთადერთი ნორმალური ლეგიონერი დარჩა და ეს ქართველი მანუჩარ მარკოიშვილია. "მანუ" გუნდის ლიდერად ყალიბდება და ეს საქართველოს ნაკრების კალათბურთელმა მორიგ ევროპულ მატჩში დაამტკიცა.

"ბკ კიევმა" გერმანულ "ევე ბასკეტს" 64:54 სძლია და ფიბას ევროჩემპიონატის J გრუპში ლიდერობა შეინარჩუნა. ამ შეხვედრაში უკრაინული გუნდის ძირითადი აღმორჩნდენი ახალგაზრდა კალათბურთელები, რომლებიც რამდენიმე კვირის წინ ძირითადად სათადარიგოთა სკაში მდებარეობდნენ თვალყურის თანაგუნდელთა თამაშს. ძირითად ხუთეულში ორი გამოცდილი კალათბურთელი იყო - მანუჩარ მარკოიშვილი და არტურ დრო-

დოვი. სწორედ ამ დუეტის წყალობით მოიპოვა უკრაინულმა გუნდმა მეტად საჭირო გამარჯვება. მატჩის ბედი მეოთხე მეოთხედში გადაწყდა. გერმანელები ცდილობდნენ თამაშში გარდატეხის შეტანას, თუმცა "მანუმ" თავის თავზე აიღო თამაში და ჯერ ლამაზი "სლემ დანკით" და შემდეგ ზუსტი სამქულიანით სტუმართა

უკრაინელი არტურ დროზდოვი 15 ქულითა და 13 მოხსნით ორმაგ დუბლს გამოიჩინა. 3 მოგებით და 1 მარცხით მარკოიშვილის კლუბს J გრუპში პირველი ადგილი უკავია. კიეველები მომდევნო მატჩს 3 მარტს სტამბულში, თურქულ "გალათასარაისთან" გამართავენ. K გრუპში ლიდერთან, კვიპროსულ "აელთან" გასვლით მატჩში 78:88 დამარცხდა ტაირონ ელისის "კახასოლი". საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ამერიკელმა გამათამაშებელმა ესპანური გუნდის სასტარტო შემადგენლობაში იასპარეზა და სტუმრებს 24 წუთში 11 ქულა, 1 მოხსნა და 3 პასი შეანია. ელისმა 6-დან 2 სამქულიანი, 1 ორქულიანი და 3 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი კი სამჯერ დაკარგა. "კახასოლის" რიგებში საუკეთესო კანერ მედლიმ 17 ქულითა და 12 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა. ტაირონის კლუბი 1 მოგებითა და 3 მარცხით მესამე ადგილზეა, მომდევნო მატჩს კი 3 მარტს როსტოვის "ლოკომოტივთან" გამართავს.

# "მეთოფეთა" კრიზისზე საუბარი ნაადრევია



ტიერი ანრი ლიონში ანგარიშს ათანაბრებს

სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის პირველი ოთხი მატჩი გაიმართა და ჯერჯერობით ვერავინ იტყვის, ამ რვა გუნდიდან ვინ გააგრძელებს თამაშს შემდეგ ეტაპზე. პირველ შეხვედრებში ისეთი ანგარიშები დაფიქსირდა, რომ ყველაფერს განმეორებითი მატჩები გადაწყვეტს, თუმცა აღსანიშნავია "არსენალის" დამაჯერებელი გამოსვლა. არსენ ვენგერის გუნდმა დაამტკიცა, რომ "მეთოფეთა" კრიზისზე საუბარი ნაადრევია. სამაგიეროდ უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სეზონის პირველ ნახევარში ფანტასტიკური ფეხბურთის მოთამაშე "ბარსელონას" ჩავარდნა დაენყო. რა თქმა უნდა, გვარდიოლას გუნდი ღრმა კრიზისში არ არის, მაგრამ ცხადია, რომ "ბარსა" ძველებურ ფეხბურთს ვეღარ აჩვენებს. გთავაზობთ მატჩის შემდეგომ მწვრთნელების მიერ გაკეთებულ კომენტარებს.

**ლუჩანო სპალეტი ("რომას" მთავარი მწვრთნელი):** "დარწმუნებული ვარ, განმეორებითი მატჩი სხვაგვარი სცენარით წარმართება. პირველ ტაიმში თითქმის არაფერი არ გამოგვდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს საუბრობენ "მეთოფეთა" კრიზისზე, "არსენალი" შესანიშნავად გამოიყურებოდა. ვთვლი, რომ ის ძალიან საშიში გუნდია. მეტოქე კარგად თამაშობდა და დამსახურებულად გაიმარჯვა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საგრძნობლად მოვუმატეთ მეორე ტაიმში. ლონდონელებმა ხარისხიანი პრესინგი შემოგვთავაზეს, რის გამოც ბურთის გადატანის პრობლემა გვექმნებოდა. ჩვენი მოქმედებით ჩვენვე შევუწყვეთ "არსენალს" ხელი დამაჯერებლად ეთამაშა."

**არსენ ვენგერი ("არსენალის" მთავარი მწვრთნელი):** "ვწუხვარ საბოლოო შედეგის გამო. მიხარია, რომ კარგად გამოვიყურებოდით მთელი მატჩისას, მაგრამ მეორე ბურთი აუცილებლად უნდა გავგეტანა. არავინ იცის, რა არის ევროთასებზე კარგი ანგარიში. ერთ-ერთი პოზიტიური ფაქტორი ამ თამაშისას ის იყო, რომ ბურთი არ გავიშვია. თუ მეტოქის მოედანზე თუნდაც ერთ გოლს გავიტანთ, ვფიქრობ, მომდევნო ეტაპზე გასასვლელად საკმარისი იქნება."

**სერ ალექს ფერგიუსონი ("მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი):** "იმედი მაქვს, ეს ნულლოვანი ფრე განმეორებითი თამაშის წინ ჩვენთვის მახედ არ იქცევა. ვფიქრობ, ამ თამაშში მოგებას ვიმსახურებდით. ჩემი გუნდი კარგად მოქმედებდა. როგორც ველოდით, 15-20 წუთის განმავლობაში "ინტერმა" კარს მიგვაჯაჭვა, მაგრამ ხასიათი ვაჩვენეთ და კარგად გავუმკლავდით მეტოქის შეტევებს. გულდამწყვეტილი ვარ, რომ ვერ მოვიგეთ. საშინაო მატჩში კარგი შანსები გვაქვს. მოგება ჩვენთვის აუცილებელია და, ვფიქრობ, ამას მოვახერხებთ. ჩვენს გუნდს შეუძლია "ინტერის" ბარიერის დაძლევა."

**ჟოზე მოურინიო ("ინტერის" მთავარი მწვრთნელი):** "ჩვენი ამოცანა ძალიან გართულდა. ახლა "ოლდ ტრაფორდზე" ნაგების უფლება არა გვაქვს. "მანჩესტერისთვისაც" არ იქნება იოლი თამაში, რადგან ნებისმიერი შედეგიანი ფრე ჩვენ გავიხსნის გზას მომდევნო ეტაპისკენ. რა თქმა უნდა, განმეორებითი მატჩი გადაწყვეტია. პირველ ტაიმში "მანჩესტერი" უკეთესად გამოიყურებოდა, შესვენების შემ-

დეგ კი ჩვენ ვიგდეთ ხელთ უპირატესობა. მატჩის შედეგი უპრეტენზიოდ უნდა მივიღოთ. მინდა ვთქვა მსაჯზე, რომელმაც 90 წუთის განმავლობაში იდეალურად შეასრულა თავისი სამუშაო. იმედი მაქვს, ინგლისშიც ასეთივე მსაჯი გვეყოლება."

**ხოსე გვარდიოლა ("ბარსელონას" მთავარი მწვრთნელი):** "1:1 კარგი შედეგია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რა ძალისაა "ლიონი" და ასევე იმას, რომ განმეორებითი მატჩი ბარსელონაში გვაქვს. როცა იოლად იგებ თამაშს, როგორც ნესი, საფუძვლიანად არ აანალიზებ. დღევანდელი მატჩი რთული გამოდგა. ბევრი მომენტი გვექონდა, რაც ვერ გამოვიყენეთ. ეს ხარვეზი განმეორებით მატჩში უნდა აღმოვფხვრათ. როცა მეტოქემ გავიტანა გოლი, დიდად არ მიწვრივლია, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი გუნდი ანგარიშს გაათანაბრებდა. შესვენებისას გარკვეული კორექტივები შევიტანე თამაშში. ვფიქრობ, მეორე ტაიმში "ბარსელონა" უკეთესად გამოიყურებოდა. ჩვენ ვაკონტროლებდით თამაშის მსვლელობას და გოლიც გავიტანეთ. განმეორებითი მატჩისას უფრო აგრესიულად უნდა ვითამაშოთ. განსაკუთრებით პირველ ტაიმში. რაც შეეხება ჟურნილის გოლს, ჩვენს მეკარეს ვალდებს ვერ დავადანაშაულებ. მგონია, რომ ამ გოლს ვერავინ აიღებდა."

**კლოდ პუელი ("ლიონის" მთავარი მწვრთნელი):** "განაწყენებული არ ვარ, თუმცა მაინცდამაინც არც მიხარია. ეს მხოლოდ პირველი შეხვედრაა. უფრო მეტს მოველოდი, თუ გავითვალისწინებთ თამაშის მსვლელობას პირველ ტაიმში. ამდენი მომენტი გვექონდა და

ერთზე მეტი გოლი უნდა გავეტანა. მიუხედავად ამისა, ჩემს ფეხბურთელებს ვერ ვუსაყვედურებ. მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლო. ყველანაირად ეცადნენ თამაში მოეგოთ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ჯერ კიდევ არაფერია გადაწყვეტილი. "ბარსელონას" ახალი არაფერი შემოუთავაზებია. კატალონიელებს კარგად ვიცნობთ. მათ მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა აქვთ. ახლა მძიმე გასვლითი მატჩი გველის ბარსელონაში."

**აბელ რესინო ("ატლეტიკოს" მთავარი მწვრთნელი):** "ამ თამაშის მოგება გვინდოდა, მაგრამ ვერ შევძელით. "პორტუ" ძლიერი გუნდია, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე სწრაფი თავდამსხმელია. თამაში მძაფრი გამოვიდა. ამიტომ ფრე არ არის ცუდი შედეგი, მით უმეტეს, რომ ჩემი გუნდი თამაშის ბოლოს აშკარად დაიღალა. ვეცდებით განმეორებითი მატჩი მოვიგოთ. ბევრი სათამაშო სქემა გვაქვს მომზადებული. თანაც, ორი კვირის თავზე ფიზიკურადაც უკეთესად ვიქნებით მომზადებული."

**ჟეზუალდუ პერეირა ("პორტუს" მთავარი მწვრთნელი):** "ვერ მივიღეთ ის, რასაც ვიმსახურებდით. ამიტომ არ ვფიქრობ, რომ ფრე ჩვენთვის დადებითი შედეგია. ეს უცნაური მატჩი იყო. პირველ ტაიმში თამაში არ გამოვივიდა. სამაგიეროდ მეორე ტაიმში უკეთესები ვიყავით. ინიციატივა კი ვიგდეთ ხელთ, მაგრამ ბევრ შეცდომასაც ვუშვებდით. მგონია, რომ "პორტუს" მომდევნო ეტაპზე გასვლა შეუძლია. მთავარია, რომ დღეს ჩვენ ვაჩვენეთ ჩვენი ამბიციები და მთელი მატჩის განმავლობაში შედეგზე ვიყავით კონცენტრირებულნი."

**რუსეთში - დუბლშემადგენლობით**  
"ასტონ ვილას" მთავარი მწვრთნელი მარტინ ონილი მოსკოვში ძირითადი შემადგენლობის რვა ფეხბურთელს არ ჩაიყვანს. დღეს ბირმინგემელები უფასო თასის მეთექვსმეტედფინალური ეტაპის განმეორებითი შეხვედრაში ცსკა-ს დაუპირისპირდებიან. "ასტონ ვილა" ინგლისის პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზეა და, ამ პოზიციის შესანარჩუნების შემთხვევაში, ბირმინგემელებს მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის საშუალება მიეცემა. როგორც ჩანს, ონილისთვის პრიორიტეტული სწორედ პრემიერლიგაა და ამიტომ გადაწყვიტა მან წამყვანი ფეხბურთელების დასვენება. აქედანვე ცნობილია, რომ ბირმინგემელები მოსკოვში არ ჩაიყვანენ გარეც ბერის, ბრედ ფრიდელს, ემილ ჰესკის, ემლი იანგს, გაბრიელ აგბონლაჰორს, ჯეიმს მილნერს, კარლოს კუელარსა და სტილიან პეტროვს. "ზოგიერთ მათგანს მცირე ტრავმა აწუხებს, ზოგსაც, გადატვირთული გრაფიკის გამო, უბრალოდ დასვენება სჭირდება, რათა პრემიერლიგის მომავალ მატჩებში სათანადოდ ითამაშოს", - განაცხადა ონილმა კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტთან საუბრისას. რუსეთში გასამგზავრებული ცხრამეტი ბირმინგემელი ფეხბურთელიდან რამდენიმე იუნიორთა გუნდიდან არის აყვანილი. გამოცდილი ფეხბურთელებიდან კი მოსკოვში მხოლოდ ოთხი ჩავა - ლუკ იანგი, კერისი დევისი, ზეტ ნაითი და ჯონ კარუ. "ასტონ ვილასა" და ცსკა-ს პირველი მატჩი ბირმინგემში 1:1 დასრულდა.

## ლავი დროგბას ნაცვლად?

მოსკოვის ცსკა-ს ბრაზილიელი ფორვარდი ვაგნერ ლავი შესაძლოა მომავალ ზაფხულს ლონდონის "ჩელსიში" გადავიდეს. ინგლისურ კლუბში კოტდივუარელი დიდი დროგბას პერსპექტივა კვლავაც ბურუსითაა მოცული. მისი კონტრაქტი 2010 წლის ზაფხულში დასრულდება, ხოლო ლონდონელთა ხელმძღვანელობა მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ ჩქარობს. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ 30 წლის თავდამსხმელი მიმდინარე წლის ივნისშივე სხვა გუნდში გადავიდეს. მისი შექმნის პრეტენდენტებს შორის "ინტერსა" და "მარსელს" ასახელებენ. დროგბას შემცვლელად კი შეიძლება ვაგნერ ლავი იქცეს. 24 წლის ბრაზილიელი კარგ თამაშს აჩვენებს. მის ასპარეზობას ევროპული საფეხბურთო კრიტიკოსები დადებითად აფასებენ. აღსანიშნავია, რომ "ჩელსის" მფლობელ რომან აბრამოვიჩს მჭიდრო კავშირი აქვს არმიელთა თავკაცობასთან. ასე რომ, ლონდონელებსა და მოსკოველებს შორის მოლაპარაკების შემთხვევაში პრობლემები ნაკლებად მოსალოდნელია.

ბრიტანული საინფორმაციო საშუალებები ლავის სავარაუდო სატრანსფერო ფასად 15 მილიონ გირვანქა სტერლინგს ასახელებენ.

ლავი 2004 წლიდან იცავს მოსკოვის ცსკა-ს ლირსებას. ამ ხნის განმავლობაში მან რუსეთის ჩემპიონატში 105 მატჩი ჩაატარა და 58 გოლი გაიტანა. ბრაზილიის ეროვნული ნაკრების 21 შეხვედრაში კი 4 გოლი აქვს გატანილი (2004-2007 წლები).

## ჩხუბი ვარჯიშზე

"ჰამბურგის" მცველმა ჯერომ ბოატენგმა და ნახევარმცველმა ალბერტ შტრაიტიმ სამშაბათს ვარჯიშზე ერთმანეთს დასცილეს. ისინი გააშველა მწვრთნელმა მარტინ იოლმა, რომელმაც ბოატენგს ვარჯიში დაატოვებინა. "მან, ცოტა არ იყოს, გადაამლაშა. გასახდელშიც ამიტომ გაუშვენი, - თქვა მერე იოლმა, - მას კლუბის სალაროში მცირე თანხის შეტანაც მოუწევს."

## კანტონას "მანჩესტერის" თავკაცობა სურს

წარსულში "მანჩესტერ იუნაიტედის" ცნობილმა ნახევარმცველმა ერიკ კანტონამ ამავე გუნდის მთავარი მწვრთნელობის სურვილი გამოთქვა.

"არ ვიცი, სწორად ვიქცევი თუ არა, მაგრამ საკუთარი სამწვრთნელო კრედიტო, ამბიციები მაქვს, რომელთა რეალიზება მსურს. მინდა "მანჩესტერის" თავკაცი გახდეთ და მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელებთან ვიმუშაო. დარწმუნებული ვარ, გამოვივა. ავიღოთ, მაგალითად, დიეგო მარადონა. საკლუბო მწვრთნელის რანგში მან 25 მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგო. ახლა კი მისი ხელმძღვანელობით ათამაშებულ არგენტინის ნაკრებს შეხედეთ. ერთი კლუბთან მუშაობა და მეორე - ასეთი დონის ეროვნული ნაკრების თავკაცის რანგში მოღვაწეობა", - განაცხადა კანტონამ, რომელიც "მანჩესტერში" 1992 წელს მივიდა. სწორედ იმ პერიოდში იწყება გუნდის ალორძინება. მაშინ "მანჩესტერი" 26-წლიანი შესვენების შემდეგ ინგლისის ჩემპიონი გახდა. აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, გასული საუკუნის მიწურულს, კანტონა პლაჟის ფეხბურთს თამაშობდა, შემდეგ სპორტის ამ სახეობაში საფრანგეთის ნაკრებს წვრთნიდა და ერთ-ერთ ტელეარხზე კონსულტანტად მუშაობდა.

# თავისუფალი უნივერსიტეტი 2009 სასწავლო წლისათვის აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე

## თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა (ESM) სპეციალობები და მისაღები კონტიგენტი:

- **ბიზნესის ადმინისტრირება** (სამუშაო ენა ინგლისური) - 65 აბიტურიენტი  
თუ გსურს, ჩააბარო ბიზნესის ადმინისტრირებაზე, შემოხაზე 036 - 01
  - **საბანკო საქმე** (სამუშაო ენა გერმანული) - 20 აბიტურიენტი  
თუ გსურს, ჩააბარო საბანკო საქმეზე, შემოხაზე 036 - 02  
საფასური: 7 200 ლარი  
თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი სპეციალობები და მისაღები კონტიგენტი:
  - **საერთაშორისო ურთიერთობები** (მიმართულება ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები, კერძოდ, არაბული ქვეყნები, თურქეთი, ირანი, ინდოეთი, იაპონია, კორეა, ჩინეთი)
  - **აღმოსავლეთმცოდნეობა** (არაბისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია, სინოლოგია)  
სულ: 50 აბიტურიენტი  
თუ გსურს, ჩააბარო აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში, შემოხაზე 036 - 03  
საფასური: 5 500 ლარი
- თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლა სპეციალობები და მისაღები კონტიგენტი:
- **სამართალმცოდნეობა** - 30 აბიტურიენტი  
თუ გსურს, ჩააბარო სამართლის სკოლაში, შემოხაზე 036 - 04  
საფასური: 5 900 ლარი

თავისუფალი უნივერსიტეტი ეძებს საუკეთესო სტუდენტებს მთელ საქართველოში და უხსნის მათ ფინანსურ ბარიერებს!

- **საუკეთესო - საუკეთესოებს:** ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი ქულების მქონე აბიტურიენტები მიიღებენ სასწავლო გრანტს. წელს სასწავლო გრანტს მიიღებს 9 საუკეთესო აბიტურიენტი
- **ისწავლე დღეს - გადაიხადე ხვალ:** თავისუფალი უნივერსიტეტის აბიტურიენტებს, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალ ქულას დააგროვებენ, შეუძლიათ, უნივერსიტეტში აიღონ შეღავათიანი სტუდენტური სესხი წელს შეღავათიანი სტუდენტური სესხით ისარგებლებს 5 წარჩინებული აბიტურიენტი

## ღია კარის დღეები თავისუფალ უნივერსიტეტში - შეაღე ახალი კარი!

**ყურადღება!** თავისუფალი უნივერსიტეტის ღია კარის დღეებზე დასწრებისათვის რეგისტრაცია დაიწყო! **ყურადღება!** წინასწარი რეგისტრაციის პროცედურები:

- სახლიდან გაუსვლელად გაიარეთ რეგისტრაცია ჩვენს ვებ-გვერდზე [www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge). შეავსეთ თავისუფალი უნივერსიტეტის ღია კარის დღეზე დასასწრები ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა. შეავსეთ ელექტრონული ფორმის


ყველა ველი. სარეგისტრაციო ფორმის სრულყოფილად შევსების შემდეგ დააწკაპუნეთ ღილაკზე submit.  
ან

- დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: + (995 32) 51 94 81; +(995 32) 31 21 00 ღია კარის დღეზე მოსულ აბიტურიენტებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ დეტალური ინფორმაცია თავისუფალ უნივერსიტეტზე (რომელიც 2015 წლისთვის მსოფლიოს საუკეთესო სასწავლებლებს შორის იქნება), იქ არსებულ უახლეს სასწავლო ტექნოლოგიებსა და სწავლების მეთოდებზე, მათთვის სასურველ პროგრამაზე, დაათვალიერონ თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი შენობა და მიიღონ თავისუფალი უნივერსიტეტის სამახსოვრო საჩუქრები.

### თავისუფალი უნივერსიტეტის ღია კარის დღეების კალენდარი

ბიზნესის სკოლა (ESM)	1 მარტი - 11:00 სთ	1 მარტი - 15:00 სთ	3 მარტი - 12:00 სთ
აზიის და აფრიკის ინსტიტუტი	2 მარტი - 12:00 სთ	4 მარტი - 12:00 სთ	
სამართლის სკოლა	28 თებერვალი - 12:00 სთ	4 მარტი - 16:00 სთ	

**ადგილმდებარეობა:**  
ღია კარის დღეები ჩატარდება თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი შენობის საკონფერენციო დარბაზში. თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი შენობის მისამართია ნუცუბიდის ფერდობი, პირველი მიკრორაიონი.



## შეიტყვე მეტი მომავალ პროფესიაზე, დარწმუნდი შენი არჩევანის სისწორეში და მოიპოვე დაფინანსება!

თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლა ყველა აბიტურიენტს, რომელიც სამართალმცოდნეობით არის დაინტერესებული, აძლევს შესაძლებლობას შეიტყოს მეტი მომავალ პროფესიაზე, დარწმუნდეს თავისი არჩევანის სისწორეში და მოიპოვოს სასწავლო გრანტი.

**სამართალმცოდნეობა აბიტურიენტთათვის - სამართლის სკოლის ხუთდღიანი სასწავლო პროგრამა - ღია კარის დღეების პარალელურად ჩატარდება.**

ლექციებს წაიკითხავენ თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორები. ლექციები იქნება ინტერაქტიული. თითოეული ლექციის შემდეგ აბიტურიენტები დაიყოფიან მცირე ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი იმუშავებს კონკრეტული კაზუსის (ქეისის) ამოხსნაზე და შემდეგ პროფესორთან ერთად განიხილავენ შედეგებს.  
სამართლის სკოლის სასწავლო პროგრამა - სამართალმცოდნეობა აბიტურიენტთათვის - დასრულდება იურიდიული ოლიმპიადით.

### იურიდიული ოლიმპიადა და სწავლის დაფინანსების მოპოვების რეალური შესაძლებლობა

ოლიმპიადაზე პირველ ადგილზე გასული აბიტურიენტი, თავისუფალ უნივერსიტეტში ჩაბარების შემთხვევაში, მიიღებს სასწავლო გრანტს, რომელიც სრულად ფარავს სამართლის სკოლის ბაკალავრიატში სწავლების საფასურს.  
**მეორე ადგილზე** გასული მონაწილე, თავისუფალ უნივერსიტეტში ჩაბარების შემთხვევაში, მიიღებს სასწავლო გრანტს, რომელიც ფარავს ორი წლის სწავლის საფასურს.  
**მესამე ადგილზე** გასული მონაწილე, თავისუფალ უნივერსიტეტში ჩაბარების შემთხვევაში, მიიღებს გრანტს, რომელიც ფარავს პირველი წლის სწავლის საფასურს.

**აბიტურიენტთა საყურადღებოდ!**  
სამართლის სკოლის პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა აბიტურიენტებმა, უნდა ჩამოტვირთონ ჩვენი ვებ-გვერდიდან [www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge) **სააპლიკაციო ფორმა**, შეავსონ

აპლიკაციის ყველა ველი, დაასაბუთონ მოტივაცია და გადმოაგზავნონ მასალები შემდეგ ელექტრონულ მისამართზე [law@freeuni.edu.ge](mailto:law@freeuni.edu.ge)

ან  
მოგვაწოდონ მისამართზე: ნუცუბიდის ფერდობი, პირველი მიკრორაიონი, თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი შენობა.  
**საბუთების მიღების ბოლო ვადაა 1 მარტი.**  
**მონაწილეთა შერჩევა მოხდება მოტივაციის დასაბუთების განხილვის საფუძველზე.**

### სამართალმცოდნეობა აბიტურიენტებისათვის - სამართლის სკოლის სასწავლო პროგრამა

სწავლა დაიწყება 5 მარტს და დასრულდება 9 მარტს  
ლექციები ჩატარდება 16:00 სთ-დან 19:00 საათამდე

**დღის განრიგი**

ლექცია	16:00 სთ - დან - 17:00 სთ-მდე
თემატური დავალების მიცემა და ჯგუფებად დაყოფა	17:00 სთ-დან - 17:15 სთ-მდე
შესვენება (coffee break)	17:15 სთ-დან - 17:30 სთ-მდე
ჯგუფური მუშაობა	17:30 სთ-დან - 18:00 სთ-მდე
შესრულებული სამუშაოს განხილვა	18:00 სთ-დან 19:00 სთ - მდე

იურიდიული ოლიმპიადა  
იურიდიული ოლიმპიადა ორი ეტაპისაგან შედგება, გაიმართება 10 - 11 მარტს  
11 მარტს გამოვლინდებიან ოლიმპიადის გამარჯვებულები

### თავისუფალი უნივერსიტეტი გისურვებთ წარმატებას!

**პროგრამაზე დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით სამართლის სკოლის პროექტის კოორდინატორს, ბატონ ზვიად როგავას ტელეფონის ნომერზე: +(995 99) 41 65 65**





### განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

#### შესყიდვის ობიექტი:

ტოიოტა ჰაილუქსი 1 ცალი 2009 წლის მოდელი

- 4 კარიანი
- ორ კაბინიანი
- 4X4
- ძრავის მოცულობა 2,5კვ.სმ
- ტურბოდინამიკი
- 100ც/დ
- 5 სიჩქარიანი
- მექანიკა
- სანავის ავზის მოცულობა 76ლ
- საბურავის ზომა 205 R16
- ელექტრო ქრომირებული უკანა ხედვის სარკეები
- წინა და უკანა უსაფრთხოების ღვედები
- კონდიციონერი
- AM/FM რადიო, მაგნიტოფონი
- სამზუფრები(მძლოლი+ მგზავრი)
- უკანა თავის მისაღები
- მეტალის დისკები
- საჭის ჰიდროგამაძლიერებელი
- ახალი პანელით
- წონა: 1770კგ
- დატვირთული წონა:2766კგ

2. საქონლის მიწოდების განხორციელების სავალდებულო ვადაა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 1 მაისის ჩათვლით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება(ერთი დახურული კონვერტით) სატენდერო კომისიის აპარატს უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2009 წლის 20 მარტის 11:00 საათიდან 20 მარტის 16:00 საათამდე, მისამართზე: სენაკი, ჭავჭავაძის ქ. N103, მე-2 სართული. კონვერტები გაიხსნება 20 მარტს 16:00 საათზე. შემდეგ მისამართზე: სენაკი, ჭავჭავაძის ქ. N103, მე-2 სართული.

4. პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

#### 4.1. იურიდიულ პირთათვის:

- ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ბ) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- გ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- დ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არარის დადებული ყადაღა;

ვ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღისა და ინკასოს არარსებობის შესახებ.

#### 4.2. ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება.

#### 4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიულ პირთათვის:

ა) ინფორმაციას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განხორციელებულ ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მინოდების შესახებ;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის და ინკასოს არარსებობის შესახებ

